# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   სამშაბათი, 28 იანვარი   1997 №9 (374)   ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისევე როგორც ადრე

### შეიძლება ბევრი რამ იქ გაირკვეს



## ახალკაცი მოსკოვს ჩავიდა

„დინამო“ უკვე ესენგეს თასის მეოთხედფინალში გავიდა. პირველ მატჩში მიღებული ტრავმა ჯანელიძისთვის საბედისწერო გამოდგა. სპეციალურმა კომისიამ „დინამოს“ ექიმთა დიაგნოზი, მენისკი, დაადასტურა და თბილისელებს გამონაკლისის სახით მეკარის დამატების უფლება დართო. თბილისიდან სასწრაფოდ უხმეს ზოიძეს, რომელმაც გასაჭირში ჩავარდნილი და 16 წლის მეკარის ამარა დარჩენილი გუნდი ვერ მიატოვა და გუშინ მოსკოვში ჩაფრინდა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი მოსკოვიდან იხილეთ მეორე გვერდზე

გუშინვე დიდი ხნის უნახავნი, ერთ დროს სამტროდ წაკიდებულნი ნოდარ ახალკაცი და ვიაჩესლავ კოლოსკოვი ერთმანეთს შეხვდნენ. კოლოსკოვმა მის გარდა კიდევ 13 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იახლა. რაზე ისაუბრეს ამ გასაიდუმლოებულ თათბირზე, ჯერჯერობით არ გამჟღავნებულა. ისე კი, ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ჩვენს კორესპონდენტს ამ თემაზე საუბარს უახლოესი დღეებისთვის დაჰპირდა. ისე, იმასაც ამბობენ, ახალკაცი მოსკოვში რეზო ძოძუაშვილის სანახავადაც ჩავიდაო...

ვნახოთ. ელოდეთ შემდეგ „სარბიელს“.

## შაბათ-კვირის ოქრო-ვერცხლი

შაბათ-კვირას მოსკოვში გაიმართა „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. ამ ტურნირზე საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები 10 მოჭიდავით იყო წარდგენილი და 5 მათგანი გუშინ თბილისს მედლით დაუბრუნდა. 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ნესტორ ხერგიანმა იაპონელთან დათმო ფინალი და ისევე, როგორც 65 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გიორგი რევაზიშვილმა და მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილმა, ვერცხლის მედალი მოიპოვა. რევაზიშვილმა ფინალში ქართველთანვე, გიორგი ვაზაგაშვილთან წააგო. ვაზაგაშვილს კი ლიპარტელიანმა დაასწრო ოქროს მედლის მოპოვება, რითაც ქართველთა წარმატებულ გამოსვლას დაუდო სათავე ამ ტურნირზე.



სოსო ლიპარტელიანი



გიორგი ვაზაგაშვილი

## ხვალ სპორტის სასახლეში

### საქართველო — ბელარუსი:

## ორივე გუნდს პრობლემები აქვს

ხვალ, 18 საათზე სპორტის სასახლეში კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია: საქართველო — ბელარუსი. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი და არც მეორე ნაკრები ლიდერებში არ არის, ამ თამაშს მაინც საკმაო მნიშვნელობა აქვს. თუ სტუმრები მოიგებენ, მათ ბოლო მატჩი შინ აქვთ სათამაშო ებრაელებთან და გამარჯვების შემთხვევაში ინარჩუნებენ შანსს, მოხვდნენ ჯგუფის ორ გამარჯვებულს შორის. თუ საქართველოს ნაკრებმა ეს თამაშიც მოიგო და ბოლოც — საბერძნეთთან, მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ტურნირს ასცდება. ასე რომ, ეს მნიშვნელოვანი მატჩია და სასურველი იქნებოდა, ამ შეხვედრას ორივე მეტოქე დაწყნარებული შეხვედროდა. მაგრამ ასე არ არის. ჯერ თვითონ მატჩის თბილისში ჩატარება გახდა საეჭვო. გახსოვთ, ალბათ, „სარბიელში“ გაუწყებდით, რომ სპორტის სასახლეში არ იყო მატჩის ჩატარებისთვის საჭირო მინიმალური ტემპერატურა და ნაკრებმა და კალათბურთის ფედერაციამ დახმარებისთვის თავდაცვის სამინისტროს მიმართეს. სამინისტრო უყოყმანოდ დაეხმარა კალათბურთელებს, მაგრამ ამ დანადგარებმა სითბოს სათანადო დონე ვერ უზრუნველყვეს და ფედერაციის მესვეურნი იძულებულნი შეიქნენ, სხვა საშუალებები ეძებნათ. მათ თურქეთში დაიქირავეს დანადგარები, რომლებიც ამ და ბოლო შეხვედრას ბერძნებთან სითბოთი უზრუნველყოფს. ეს ტექნიკური პრობლემა კი მოგვარდა, მაგრამ ნაკრებს სხვა, ძალზე რთული პრობლემა გამოუჩნდა. საქმე ის არის, რომ შეხვედრაზე არ ჩამოდის ჩვენი ორი ლეგიონერი: ცენტრები — ვლადიმერ სტეფანია და დავით ბერძენიშვილი. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, რომ სტეფანია წელის ტკივილს იმიზეზებს, დავით ბერძენიშვილის ჩამოუსვლელობას კი უფრო ღრმა ძირები აქვს. როდესაც დათო სლოვაკეთში წავიდა, მას „დინამოსთან“ კონტრაქტი გასრულებული ჰქონდა და ამიტომ მისი მოქმედება გამართლებული იყო. მაგრამ იგი ნაკრების მწვრთნელის დაუკითხავად და ნაკრებთან ურთიერთობის გაუთვალისწინებლად წავიდა სლოვაკეთში, ამიტომ დათოც ვერ ჩამოდის თბილისში. ამ გარემოებამ გუნდი უდიდესი პრობლემების წინაშე დააყენა: — მოგეხსენებათ, რაოდენ ძნელია ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე თამაში. მით უმეტეს, როცა ისინი ცენტრები არიან.

ბესიკ ლიპარტელიანი ამ თამაშისთვის დინამოელი ვახტანგ ბეჟანიშვილისა და რუსთაველი ირაკლი ჯაფარიძის გამოყენებას ეცდება. სხვა მოთამაშეები კი თქვენთვის კარგად ცნობილი, საქართველოს ჩემპიონ „ვითას“ წარმომადგენლები არიან: მამუკა ტურაშვილი, დავით უსტიაშვილი, გია სანაძე, ლევან ქარაბაკი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, დუდუ დადიანი, ამირანი ორმოცაძე, კახა შენგელია და კიდევ ერთი ვითელი, ნაკრების დებიუტანტი ავთანდილ კოკოლიშვილი.

ბელარუსები დღეს ჩამოდიან თბილისში, მაგრამ, როგორც ბესიკ ლიპარტელიანისგან შევიტყვეთ, მათაც ჰქონიათ პრობლემები: ამერიკაში მოთამაშე ხუთ ბელარუსთაგან არცერთი ჩამოდის, მათმა კიდევ ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ დაინენკომ კი ბელარუსის მოქალაქეობას რუსეთისა ამჯობინა და აწი რუსეთის სახელით გამოვა. ეტყობა, პრეზიდენტ ლუკაშენკოს გავლენამ იმოქმედა.

მოკლედ, ხვალინდელ მატჩს ორივე გუნდი გულგატეხილი დაიწყებს, მაგრამ საქართველოს ნაკრების ვარჯიშმა დაგვარწმუნა, რომ ისევე, როგორც წინა მატჩებში, ქართველი მოთამაშეები ეცდებიან ქართული კალათბურთის მოყვარულებს კარგი თამაში აჩვენონ.

**კოტე მგალობლიშვილი**

## საჯაია შვეიცარიელ ჭაბუკებში

გერმანიის რეგიონალლიგის „აუგსბურგში“ მოთამაშე ქართველებზე ადრეც ვწერდით. მოგვიანებით ორმა მათგანმა — ვახტანგ იაგორაშვილმა და მიხეილ საჯაიამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც ითამაშეს ინგლისელი თანატოლების წინააღმდეგ. მათ გარდა „აუგსბურგში“ მრეტყოფილნი ბესიკ შენგელიაც და კახა სიდამონიძეც გამოდიოდნენ. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ საქართველოში დაბრუნდა, მერე კი მის გზას შენგელიაც გამოუდგა. როგორც გერმანული „კიკერი“ იუწყება, „აუგსბურგმა“ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტა მასთან. შესაძლოა, გერმანულ კლუბს საჯაიასთან განშორებაც მოუხდეს, ოღონდ სხვა მიზეზის გამო: გერმანელები საჯაიას თამაშით ერთობ კმაყოფილნი არიან, რაც „კიკერში“ დაბეჭდილი აღფრთოვანებული რეცენზიებითაც დასტურდება. ჰოდა, საქმე ისაა, რომ საჯაიას შეძენა შვეიცარიის უმაღლესი ლიგის „იანგ ბოიზს“ მოუსურვებია და „აუგსბურგთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს. „კიკერის“ ცნობით, საჯაია ალბათ შვეიცარიაში გადაბარგდება, მაგრამ მას იქ დიდი გარჯა მოუწევს, რადგან „იანგ ბოიზი“ ბოლო ადგილზეა. თუმცკი დარჩენის საკმაო შანსს მაინც ინარჩუნებს: შვეიცარიის 12 უძლიერესი გუნდიდან 4 უარესი 4 ქვემოლიგელთან მეორე რვაგუნდეულს ქმნის და ორ წრედ ხელახლა იბრძვის ლიგაში დასარჩენად.

# ქუთაისური სამეული ტარხანოვთან

დავით ჯანაშია, ზურაბ იონანიძე და მალხაზ ვოსკანოვი მოსკოვის „ტორპედოში" რომ ისინჯებიან და გუნდს ისრაელში შეკრებაზეც ახლდნენ, უკვე გაუწყეთ. გუშინ კი მამუკა კვარაცხელიამ მოსკოვიდან გვაცნობა, რომ ვალენტინ ივანოვის მიწვეული ქუთაისელები ამჟამად ალექსანდრე ტარხანოვის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ. ტარხანოვმა „ტორპედოსთან" გააფორმა კონტრაქტი. მან გუნდში ცესკადან 10 მოთამაშე წაიყვანა, რომელთა შორის 2 ნიგერიელი ყოფილა. ტარხანოვმა ჩვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ გუნდიდან ჯერ არავინ გაუშვია, მათ შორის ქართველებიც, თუმცა ადგილის გარანტიასაც ვერავის მივცემო. ისე კი აღუნიშნავს ზურაბ იონანიძე ძლიერ მომეწონაო.

ვალენტინ ივანოვი მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კი გაათავისუფლეს, მაგრამ „ტორპედოში" სხვა თანამდებობაზე იმუშავებს. ივანოვი თავის გადაყენების შესახებ კომენტარს ერიდება. უახლოეს დღეებში კი პრეს-კონფერენციის გამართვას ფიქრობს.

## ტორპედო: სიგმა — მერია 60/40

20 იანვარს ქუთაისის მერის თემურ შაშიაშვილისა და „სიგმაბანკის" მმართველის ბესიკ ჯიქიას შეხვედრისას საბოლოოდ გადაწყდა ქუთათურთა „ტორპედოს" ბედი. ჯიქიას თქმით: „ტორპედო" პროფესიულ რელსებზე გადავიდა, მას ამიერიდან ორი მეპატრონე — ქალაქის მერია და „სიგმაბანკი" ეყოლება. აქციების 60 პროცენტი ბანკს, 40 კი მერიას ეკუთვნის. ფაქტობრივად, კლუბის მმართველი ორგანოს რეორგანიზაცია მოხდა, რაც თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გაკეთდა. ასე რომ თანამშრომლობის დოკუმენტს უკვე ხელი მოვაწერეთ. რაც შეეხება გუნდის დაკომპლექტებას — თითქმის გადაწყვეტილია, რომ ლევან ქებაძე და როინ მარლიაშვილი „ტორპედოში" ითამაშებენ. გადმოყვანის თაობაზე ჯერ „მარგვეთის" პრეზიდენტ ვასილ ხაჭაპურიძესთან არ მისაუბრია, იგი, უბრალოდ, არ მინახავს, თუმცა თავად მოთამაშეებს ჩვენთან თამაში სურთ. ასეთივე ვითარებაა ხუჯაძეებთან, ხვადაგიანთან და მეტრეველთან დაკავშირებით. მოკლედ, ყველა დამატებულ მოთამაშეს ჩვენთან დარჩენა სურს და, ფაქტობრივად, ეს საკითხი გადაწყვეტილიც არის, თუმცა იურიდიულად ეს ყველაფერი 10 თებერვალს უნდა გაფორმდეს ფედერაციაში ამ მოთამაშეთა ყოფილი კლუბების ხელმძღვანელთა თანხმობით.

ჩვენ უკვე იანვარშივე ვაპირებდით უცხოეთში შეკრების მოწყობას, მაგრამ მაშინ გაურკვეველი იყო, მოწვეულთაგან ვინ დარჩებოდა და შეკრებაც გადავდეთ. არადა, თურქეთში უკვე შეთანხმებულები ვიყავით „რიზესპორთან" და „სამსუნსპორთან" საკონტროლო შეხვედრების ჩატარების თაობაზე. ახლაც თუ გამონახავენ ეს ან თურქეთის უმაღლესი ჯგუფის სხვა გუნდები ჩვენთან შესახვედრ დროს, თურქეთში გავემგზავრებით, თუ არა და იმ ქვეყანაში, სადაც სპარინგ-პარტნიორს მოვძებნით. თურქეთის გარდა ასეთ მეტოქეებს კვიპროსზე და საბერძნეთში ვეძებთ, სადაც შევთანხმდებით, იქ გავემგზავრებით. მთავარია, ძლიერ მეტოქეებთან ვითამაშოთ. მალე ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება და მას კარგად მომზადებულები უნდა შევხვდეთ.

## ჯიქია რუხიდან „რუხში"

„ოდიშის" მოთამაშემ რუხელმა მამუკა ჯიქიამ ზუგდიდი დატოვა, მეორე წრისთვის მზადებას „შევარდენში" შეუდგა და ზუსტად ამ პერიოდში მენეჯერიც შეეხმიანა, საბერძნეთის ერთ-ერთ გუნდში გასინჯვაზე რას იტყვიო. ჯიქია მენეჯერს პოლონეთში უნდა შეხვედროდა და იქიდან უნდა გამგზავრებულიყვნენ საბერძნეთს. მაგრამ გეგმები მოულოდნელად შეეცვალათ — მენეჯერმა ხოჟუვის „რუხის" მწვრთნელს შესთავაზა მამუკას გასინჯვა, ისიც დასთანხმდა, გასინჯა, მოეწონა და, როგორც „შევარდენის" მთავარმა მწვრთნელმა ელგუჯა ხუციშვილმა გვაცნობა, ჯიქიას სეზონის ბოლომდე ანუ ივნისამდე კონტრაქტის გაფორმებაც შესთავაზეს.

ხუციშვილის თქმით, ჯიქია „შევარდენში" აპირებდა თამაშს, მაგრამ რადგან პოლონეთში უკეთესი ვარიანტი გამოუჩნდა, თბილისელებს შეხმიანებია, არ მსურს გაურკვევლობაში გამყოფოთ, პოლონეთში ვრჩებიო.

## „ბათუმი" მიდის და ვეღარ წავიდა

ბათუმელები უკვე შეუდგნენ ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას. ისინი ჯერ თავიანთ, „ბენზეს" მოედანზე ვარჯიშობენ, უახლოეს ხანს კი ნავარაუდევია მათი ტრაბზონში გამგზავრება. ბათუმელთა თურქეთში მომზადების შესახებ ადრეც ვიუწყებოდით, მაგრამ გაურკვეველ მიზეზთა გამო თურქული შეკრება გადაიდო. ახლა კი კლუბის პრეზიდენტი დავით კლდიაშვილი ტრაბზონს იმყოფება პირობების გასაცნობად და შესაძლოა, 10 თებერვლამდე „ბათუმი" თურქეთს გაემგზავროს. ახლა რაც შეეხება ცვლილებებს, წინა „სარბიელში" უკვე გაუწყეთ, რომ გუნდი დატოვეს დავით და მალხაზ მახარაძეებმა. მათ ნაცვლად ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ერთბაშად ოთხი ახალგაზრდა მიიწვია: რომანიძე, აფხაზავა, ჩახუნაშვილი და სიამაშვილი. ისინი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრებიც არიან და იმედია, მათი გუნდში მისვლით ფეხბურთელთა შორის კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება, რაც თავისთავად სასიკეთოა მოვლენაა, მითუმეტეს მაშინ, როცა ბათუმელები, უწინდებურად, ევროტურნირების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატები არიან.



## ვერემჩუკი „შევარდენში" რჩება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „შევარდენის" მცველი დიმა ვერემჩუკი, გუნდის მთავარი მწვრთნელის ელგუჯა ხუციშვილის თქმით, სეზონის ბოლომდე „შევარდენში" დარჩება. შეგახსენებთ, რომ ვერემჩუკის წაყვანა ლატვიაში მომუშავე რეზო ძოძუაშვილს სურდა. ამას გარდა, მას გერმანიის ობერლიგაში გადასვლის ვარიანტსაც სთავაზობდნენ. ვერემჩუკმა კი ბოლოს ისევ საქართველოში დარჩენა ისურვა, თუმცა მხოლოდ მაისამდე. ხუციშვილის სიტყვით, სავსებით შესაძლებელია, რომ „შევარდენში" ვიხილოთ „იბერიის" ჰამლეტ წიწივაძე, რომლითაც პირველი ჯგუფის ხუთი გუნდი იყო დაინტერესებული. თბილისელები მოლაპარაკებას აწარმოებენ „გურიის" ბუცურეიშვილთანაც, თუმცა მას გული „მერანისკენ" მიუწევს.

**მამუკა კვარაცხელია**

მოსკოვიდან



### ესენგეს თასი

**A ჯგუფი**

I ტური: ნოვბახორი (უზბეკეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) 0:5, სპარტაკი (რუსეთი) — ნეფთჩი (ბაქო) 4:2; I ტური: ნეფთჩი — ზიმბრუ 1:2, სპარტაკი — ნოვბახორი 3:0

**B ჯგუფი**

I ტური: კარედა (ლიტვა) — პიუნიკი (სომხეთი) 2:2, დინამო (კიევი, უკრაინა) — მეტალურგი (ყირგიზეთი) 9:1; II ტური: მეტალურგი — პიუნიკი 0:4, დინამო (კ) — კარედა 5:1

**C ჯგუფი**

I ტური: თარაზი (ყაზახეთი) — დინამო (დუშანბე, ტაჯიკეთი) 3:2, დინამო (საქართველო) — ლანტანა (ესტონეთი) 4:2; II ტური: ლანტანა — დინამო (დ) 5:1, დინამო — თარაზი 2:0

**D ჯგუფი**

I ტური: სკონტო (ლატვია) — კოპეტდაღი (თურქმენეთი) 0:1, მპკც (ბელარუსი) — რუსეთის კლუბების ნაკრები 2:5; II ტური: რუსეთი — კოპეტდაღი 4:0, მპკც — სკონტო 1:2

# «დინამო» ქართველებს შეხვდება

## დემეტრაძეს თვალი დაადგეს

### დინამო 4:2 ლანტანა

**დინამო: ჯანელიძე (ლომაია 69), კალაძე, ზ. ჭელიძე, დ. მუჯირი (დიდავა 53), კუდინოვი, ჩხაიძე, კეკნაძე (ისათაიანი 84), ცქიტიშვილი, კერძევაძე, დემეტრაძე (გ. კვარაცხელია 84), ხომერიკი (ყიზილაშვილი 53)**

**გაფრთხილება: კუდინოვი, კოლოცეი**

**გაძევება: კუდინოვი, კოლოცეი**

**0:1 ბრაგინი (7), 1:1 დიდავა (54), 2:1, 3:1 დემეტრაძე (60 პ, 69), 4:1 კეკნაძე (80), 4:2 კულიკოვი (85)**

**მსაჯი: ი. იარემჩუკი (უკრაინა)**

თამაშამდე მეტად საინტერესო ამბები ხდებოდა. სასტუმრო „კოსმოსი", სადაც ტურნირის მონაწილენი ბინადრობდნენ, სასტუმრო „აჭარას" ან „ივერიას" უფრო მოგაგონებდათ. ყოველი მხრიდან გაისმოდა, „როგორა ხარ", „გაუმარჯოს", „რას შვრები" და სხვა ქართული მოკითხვა-შეძახილები. სასტუმროს ვესტიბიულში არაერთ ნაცნობს შევხვდი... ძოძუაშვილი, ჩალაძე, რეხვიაშვილი, სილაგაძე, გუგუშვილი, ტყავაძე, გოგოლაძე, დინამოელებზე რომ არაფერი ვთქვათ.

მოსკოვში ჩაფრენის დღეს „დინამოს" მანეჟში ვარჯიშისას ლობანოვსკიმ თავისი ბიჭები შემოიყვანა და სსრკ-ს ყველაზე ტიტულოვანმა მწვრთნელმა ისინი ისე დატვირთა, ჩვენები პირდაღებულნი დარჩნენ. კიევის „დინამოს" მწვრთნელი ჩვეული სერიოზულობით აკეთებდა თავის საქმეს და არც ჟურნალისტები გაიკარა, არც უკრაინელი გულშემატკივრები.

ერთადერთმა მიიპყრო ლობანოვსკის ყურადღება — ყიფიანმა. „დავიდიჩ, კაკ პოჟივაეშ" და ნახევარი საათი მისთვის აღარც კიევის „დინამო" არსებობდა, აღარც სხვა რამ. მონატრებული მწვრთნელები ერთმანეთს ეხვეოდნენ და მასლაათობდნენ.

მეორე დღეს ნაცნობ ესტონელ ჟურნალისტს მარკუს ლუიკს ვკითხე, თქვენს გუნდში რა ცვლილებებია-მეთქი. არამგონია, პრობლემები შეგექმნათ, რადგან „ლანტანას" სამი წამყვანი ფეხბურთელი — ჰეპნერი, პრინცი და გრუზნოვი ტრავმის გამო ვერ ჩამოგვყვნენო. სიცილი ამიტყდა, ეგ რა არის-მეთქი და, ჩვენგან წასული ფეხბურთელები რომ ჩამოვუთვალე, პირის დაღება მისი გენახათ.

ვარაუდი გამართლდა. ესტონელები ზუსტად ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებებს და პირველ ტაიმში თითქმის ყველა რგოლში დაჩაგრეს მეტოქე. ზოგჯერ დინამოელები ისე უხეშად ცდებოდნენ, რომ დავით ყიფიანს რამდენჯერმე ნერვებმა უმტყუნა და სკამიდან წამოხტა.

მე-7 წუთზე კუდინოვმა საჯარიმოს წინ კოლოცეი მოცელა, მსაჯმა კი ჯარიმაც დანიშნა და დიმაც გააფრთხილა. საჯარიმო დარტყმის შესასრულებლად სერგეი ბრაგინი გაეშურა. „შეაგდებს — მითხრა ნაცნობმა ჟურნალისტმა — მაგას ესტონეთის ჩემპიონის 87 მატჩში 87 გოლი აქვს გატანილი და ყველა ჯარიმიდან"...

ბრაგინმა მართლაც ლამაზად ჩასვა ბურთი „დინამოს" კარის მარცხენა ცხრიანში, რამაც თბილისელები კიდევ უფრო დააბნია. ამის შემდეგ მათ, სულ ცოტა, სამი საგოლე მომენტი შეაქმნევინეს მეტოქეს, მაგრამ ხან მეკარე ჯანელიძემ იყოჩაღა, ხანაც ესტონელებმა ვერ ივარგეს.

ტაიმის მიწურულს კიკნაძემ კონტრშეტევაზე გამოიჭირა ტალინელები და 30 მეტრიდან შეუჩერებლივ აბრაგანი დაჰკიდა, მაგრამ „ლანტალას" მეკარემ, უსოლცევმა არნახულ ნახტომში ზედ ხარიხის ქვემოდან გამოაძრო ბურთი. წუთიც და, ბორისოვი ჯანელიძესთან პირისპირ გავიდოდა, ჭელაძეს და კუდინოვს რომ არ მოეცელათ. თუ დარღვევა იყო, ამ მომენტში წესი ორივე მცველმა დაარღვია, მაგრამ უკრაინელმა არბიტრმა იგორ იარემჩუკმა რატომღაც კუდინოვი ამოირჩია, მეორედ გააფრთხილა და მინდვრიდან გაისტუმრა.

დავით ყიფიანი მალე მიხვდა, რომ შესვენებაზე მიცემულმა მითითებებმა შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ შეცვლები გამოიყენა. აქედან წუთიც არ გასულა, რომ ჩხაიძემ მარცხნიდან ჩააწოდა და ახალშესულმა დიდავამ თაურით ანგარიში გააყაიმა. ცოტა ხანში შეცვლაზე შესული ყიზილაშვილი გადიოდა მეკარესთან პირისპირ და კოლოცეიმ მაისურზე დაქაჩა. ესტონელთა კარში პენალტიც დაინიშნა და მეორე გაფრთხილების გამო კოლოცეიც გააძევეს. დემეტრაძემ ჩელებაძის ყაიდაზე დაარტყა პენალტი და თავისიანები დააწინაურა, მოგვიანებით კი მეტოქის მცველები აპამპულა კიდეც — ყოველ გადაგდებულ ბურთს იჭერდა და 2-3 მცველს ატყუებდა.

69-ე წუთზე ჯანელიძემ კარიდან დაარტყა ბურთი და იქვე წაიქცა, თუმცა ეს მაშინვე არავის შეუნიშნავს, რადგან ბურთი დემეტრაძემ დაიჭირა, სამი მცველი ააცეკვა და მარცხენა კუთხეში გაიტანა. სანამ დინამოელები დიმას ულოცავდნენ, ჯანელიძე საცოდავად იკლაკნებოდა. თურმე დარტყმისას ფეხი უხერხულად დაუდგამს და... კარში 16 წლის ლომაია ჩადგა. ჩადგა და დარჩენილი 20 წუთი ისე თავდაჯერებით ჩაატარა, რომ მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო.

თამაშის დამთავრებამდე დარჩენილი 10 წუთი კატა-თაგვობანას ჰგავდა. დემეტრაძის აქტიურობის შედეგად ესტონელები ერთხელაც შეცდნენ და კიკნაძემ 35 მეტრიდან ბრძოლით წაღლო ბურთი, ყველა უკან მოიტოვა, მეკარეც მოატყუა და კარში მშვიდად შეაგორა.

ამის შემდეგ თამაშმა ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგა და ბოლოსკენ „დინამოს" მცველების მერამდენე შეცდომით კულიკოვმა ისარგებლა — 3 მეტრიდან ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

### ძოძუაშვილი 0:1 გუგუშვილი

უკვე მეორე წელია, ქართველი ფეხბურთელები ესენგეს თასზე არამარტო „დინამოში" არიან წარმოდგენილნი. წელს მათ მწვრთნელებიც შეემატნენ. იმ ჯგუფში, რომლის მეორე გუნდი თბილისის „დინამოს" შეხვდება, ლატვიისა და თურქმენეთის ჩემპიონები თამაშობენ. ორივე გუნდის მეორე მწვრთნელი ქართველია, „სკონტოსი" ძოძუაშვილი, „კოპეტდაღისა" კი — გუგუშვილი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქმენული კლუბის მწვრთნელი ტაჩმურად ალამურადოვი ამ ქვეყნის ნაკრებში გუგუშვილის თანაშემწეა, იოლი მისახვედრია, ვინ თამაშობს მთავარ როლს ამ გუნდების გაწვრთნაში. ეს „სკონტო" — „კოპეტდაღის" თამაშისასაც იოლი მისახვედრი იყო. მოედნის ერთ მხარეს ძოძუაშვილი იდგა, მეორეზე კი გუგუშვილი. მათ ერთმანეთის ენა ესმოდათ, მაგრამ არ უცდიათ ემოციების მოთოკვა და აქაც იყო „დაიჭირე, ბიჭო" და მისთანები.

ლატვიელთა გუნდში ძალიან კარგად ითამაშა მცველმა სილაგაძემ. ჩალაძემაც ყველა გადავდებული ბურთი მიიღო, მაგრამ რაკი თავდასხმაში არავინ ეხმარებოდა, ვერაფერი იხეირა. კარგად თამაშობდა საყრდენი ნახევარმცველი რეხვიაშვილიც, მაგრამ რამდენადაც კარგად, იმდენად ზედმეტად მონდომებით ირჯებოდა, რისთვისაც ორი გაფრთხილება და გაძევება გამოსტყუა მსაჯს, რომელსაც ჯერ თავის ჯარიმაზე ედავა, შემდეგ კი ხელით თამაშისთვის გაავდებინა თავი.

ძალიან ნაყოფიერად თამაშობდა „კოპეტდაღის" გამთამაშებელი ტყავაძეც, რომელსაც თანაგუნდელი მუხადოვი და დურდიევი კარგად უბამდნენ მხარს.

მატჩის ერთადერთი გოლიც ქართველმა, გოგოლაძემ გაიტანა. იმ მომენტში



ლატვიელებს თამაშგარე ეგონათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „სკონტოს" კაპიტანი ხალიბოვი ჩარჩენილიყო.

მატჩის შემდეგ ძოძუაშვილმა გუგუშვილს გამარჯვება მიულოცა და ერთმანეთს მშვიდობიანად დასცილდნენ.

### დინამო 2:0 თარაზი

**დინამო: ლომაია, კალაძე, ზ. ჭელიძე, დიდავა, დ. მუჯირი (ზამთარაძე 70), ჩხაიძე (დავითნიძე 68), კიკნაძე, ცქიტიშვილი, კერძევაძე, დემეტრაძე (ისათაიანი 87), ხომერიკი (ყიზილაშვილი 70)**

**გაფრთხილება: კერძევაძე, ზამთარაძე, ნიაზინბეტოვი, ესენბაევი**

**გაძევება: მირზაბაევი**

**1:0 დემეტრაძე (32), 2:0 ხომერიკი (52)**

**მსაჯი: ს. ჰუსეინოვი (რუსეთი)**

წინა შეხვედრასთან შედარებით ყიფიანმა შემადგენლობაში ტაქტიკური გადაადგილებანი მოახდინა. კუდინოვის არყოფნაში ცქიტიშვილი ლიბეროდ გადაიყვანა, საყრდენად კი დიდავა გაამწესა. ამან გაამართლა და „დინამომ" თავიდანვე აქტიურად შეუტია. ცქიტიშვილი უკნიდან გრძელ რეიდებს ახორციელებდა, დიდავა კი მეტად ნაყოფიერად თამაშობდა და ესენი „დინამოში" საუკეთესონი იყვნენ.

მე-15 წუთზე თბილისელებმა ულამაზესი კომბინაცია გაითამაშეს. ხომერიკმა ერთი შეხებით საგოლე პასი მისცა კერძევაძეს, რომელმაც ჭეინტით კი დაჰკრა, მაგრამ მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ამ მატჩში წინაზე უფრო აქტიურად თამაშობდა მუჯირი, რომლის დარტყმა 30-ე წუთზე ისევ მეკარემ მოიგერია. ორ წუთში მირზაბაევი უკან უბრუნებდა ბურთს მეკარეს, მაგრამ დემეტრაძემ გადაცემა ჩაჭრა, საჯარიმოში შეიჭრა მცველი ზაიცევი, ტრიბუნაზე აიყვანა და ფეხის შეუნაცვლებლად მეკარეს დაცულ კუთხეში გაუტანა.

ყაზახები უხეშობაზე გადავიდნენ. ერთ მომენტში დიდავა შუა მოედანზე უკნიდან მოცელეს, რისთვისაც მსაჯს გაძევებაც გამოსტყუეს.

განახლდა თუ არა მეორე ტაიმი, კიკნაძემ 2 მცველს შორის გამძვრალ ხომერიკს გრძელი პასი მისცა, მან კი ცაციათი იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ მეკარემ აღებული ბურთი ვეღარ დაიმორჩილა — 2:0.

აქ კი დინამოელებმა აქტიური თამაში შეწყვიტეს, რითაც ყიფიანი ძლიერ გაანაწყენეს. თამაშს ვეღარც შეცვლებმა უშველა.

მატჩის შემდეგ გაბრაზებული ყიფიანი მილოცვებს ყასიდად იღებდა, ამათთვის ათი ბურთი მაინც უნდა გაგვეტანა, თანაც კაცი გაუგდეს და ვერ გამოვიყენეთო.

მომდევნო მატჩში, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვს, ყიფიანი ძირითად მოთამაშეთა დასვენებას აპირებს, რადგან მომდევნო დღეს მეოთხედფინალია.

გუშინ ნტვ-მ „დინამოს" ბომბარდირს დემეტრაძეს სპორტულ გადაცემაში მოზრდილი ადგილი უძღვნა.

**ინგლისში**, ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორის ჰოვარდ უილკინსონის ასისტენტად დაინიშნა დონ ჰოუ. 61 წლის ჰოუ თავის დროზე ინგლისის ნაკრების მწვრთნელების ტერი ვენეიბლზისა და ბობი რობსონის თანაშემწედ მუშაობდა. „ჩემის აზრით, ჰოუ ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში. მას ძალზე კარგად ესმის თავისი საქმე" — განაცხადა უილკინსონმა.



დონ ჰოუ

**სამხრეთ ამერიკაში** შეკრებაზე მყოფმა როტერდამის „ფეიენოორდმა" ორი ფეხბურთელი შეიძინა — „როსარიო სენტრალიდან" 20 წლის არგენტინელი ფორვარდი ბუსტოს მონტოია, „რივერ პლეიტიდან" კი 24 წლის ურუგვაელი მცველი ფერნანდო ოლვარო პიკუნი. „ჩვენ ბრწყინვალე ტრანსფერი განვახორციელეთ. ორი ასეთი მოთამაშის ასე იაფად შეძენა იშვიათი მოვლენაა" — განაცხადა „ფეიენოორდის" მწვრთნელმა არი ჰაანმა. „ფეიენოორდი" ჰოლანდიაში დღეს დაბრუნდება.

**ავსტრალიაში** დასრულდა ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძლები, ნორვეგია, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია მონაწილეობდნენ. ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა გუნდს მესამე მატჩიც მოაგებინა და ტურნირშიც გაამარჯვებინა. მესამე ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: ავსტრალია — ნორვეგია 1:0 (ჰუკერი 72), სამხრეთ კორეა — ახალი ზელანდია 3:1 (პარკ კუნ ჰა 77, გო ჯონგ სუ 83, იუ სანგ ჩუი 86; კოვენი 33).

**ინგლისის** „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა გარი რედნეპმა განაცხადა, რომ თუ კლუბის ხელმძღვანელები მის წასვლას საჭიროდ მიიჩნევენ, იგი კლუბს დატოვებს. ბოლო სათასო შეხვედრა „ვესტ ჰემმა" მეორედივიზიონელ „რექსჰემთან" წააგო და მარცხმაც მწვრთნელის ისედაც შერყეული პოზიციები კიდევ უფრო შეარყია. ეს ლონდონური კლუბი პრემიერლიგიდან გასავარდნ კლუბთა შორისაა, ბოლო 11 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო. გარი რედნეპი „ლივერპულის" ფორვარდ ჯეიმი რედნეპის მამაა.

**დანიის** რეკორდსმენი, ნაკრებში ყველაზე მეტი, 102 მატჩის ჩამტარებელი მორტენ ოლსენი ოფიციალურად დაასახელეს „აიაქსის" მომავალ ახალ მწვრთნელად. 47 წლის დანიელი 1 ივლისიდან შეცვლის ლუის ვან გაალს. ადრე ოლსენი „ბრონდბიუს" და „კიოლნს" ხელმძღვანელობდა. რამდენიმე კვირის წინ მას მწვრთნელობა როტერდამის „ფეიენოორდმაც" შესთავაზა.

**შოტლანდიის** თასის გათამაშების მესამე წრეში „გლაზგო რეინჯერსმა" 2:0 დაამარცხა „სენტ ჯონსტონი", ჩილელმა ვარსკვლავმა სებასტიან როზენტალმა კი კლუბში პირველი გოლი შეაგდო. მეორე ბურთი დანიელმა ერიკ ბო ანდერსენმა გაიტანა. „რეინჯერსის" სამი ფეხბურთელი — ანდერსენი, გესქოინი და როზენტალი დაშავდნენ. სამხრეთამერიკელი ისე, რომ გუნდს ვერ გაჰყვება ამსტერდამში, სადაც მომავალ კვირას დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება.

შოტლანდიის თასის გათამაშების მეოთხე წრეში კენჭისყრამ შემდეგი მეტოქეები დააწყვილა: „ბრეჩინ" — „ალოას" შორის გამარჯვებული შეხვდება „რეით როვერს" — „ეირდრიონიანსს" შორის გამარჯვებულს. „ჰართსი" ეთამაშება „დანდი იუნაიტედს". „ფალკირკ" — „ბერვიკს" შორის გამარჯვებული უმასპინძლებს „დანფერმლაინს", „ერბროთ" — „გრონკოკ მორტონის" გამარჯვებული შეხვდება „დანდის", „მოზერველი" ეთამაშება „ჰემილტონს", „კლაიდი" — „კილმარნოკს", „გლაზგო რეინჯერსი" — „ისტ ფაიფს", „ჰიბერნიან" — „აბერდინს" შორის მოგებული უმასპინძლებს ან „კლაიდბანკს", ანაც „სელტიკს". მატჩები გაიმართება 15 თებერვალს.

**ნიგერიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამოდუ შაიბუ დისკვალიფიცირებულია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ. მისი გადაყენების მიზეზი უცნობია, თუმცა ამბობენ, რომ ამ საქმის თავი და თავი სპორტის მინისტრი ჯიმ ნვობოდოაო. შაიბუს შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებიათ. მის შესაძლო მემკვიდრედ ჰოლანდიელ ჯო ბონფრერს ასახელებენ.

**ჩილეს** კლუბმა „უნივერსიდად კატოლიკამ" მოიგო „მაიამის თასის" გათამაშება. ოთხგუნდიან ტურნირში ჩილელებმა ორჯერ ფრედ ითამაშეს, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ჰონდურასის „ოლიმპიას" 3:2 აჯობეს. გადამწყვეტი გოლი 87-ე წუთზე ალბერტო აკოსტამ გაიტანა.

**ფიფას** გარდაცვლილი ვიცე-პრეზიდენტის გილერმო კანედოს პოსტზე აირჩიეს კონკაკაფის პრეზიდენტი ჯეკ უორნერი, ამავე კონფედერაციის გენერალური მდივანი ჩაკ ბლაზერი კი ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი გახდა. ფიფაში ახლა კონკაკაფის სამი წარმომადგენელია — ზემოხსენებულთა გარდა კოსტარიკელი ისააკ სასო სასო ადრეც მუშაობდა ფიფაში.

**ინგლისის** მეორე დივიზიონის კლუბი „ბორნმუთი" ვალებში ჩაეფლო. კლუბის წარმომადგენელთა განცხადებით, ვალად 3 მილიონ 700 ათასი გირვანქა ადევთ. გუნდმა ძლივს დააღწია თავი აუტსაიდერთა ზონას და ახლა ცხრილში მეთექვსმეტეა, თუმცა კლუბის ახალ არჩეულმა თავმჯდომარემ რიო პეკმა განაცხადა, რომ ეს კლუბისთვის დაღუპვის ტოლფასია.

**სომეხი** პასკალ ბედროსიანი ლონდონის „არსენალში" გადავიდა. ინგლისური კლუბის ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა 22 წლის ფორვარდი ბერხკამპის შემცვლელად შეიგულა. ბედროსიანმა, მიუხედავად იმისა, რომ მარსელშია დაბადებული და გაზრდილი, სომხეთის მოქალაქეობა მიიღო და სომეხთა ნაკრებშიც ითამაშა.



ვენგერს ბედროსიანი მოენატრა

**ბელგიის** ნაკრებისა და „ანდერლეხტის" ფორვარდმა ჟილ დე ბილდემ კლუბიდან წასვლა განიზრახა. „ანდერლეხტის" მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის განცხადებით, მოთამაშემ წასვლის სურვილი კი გამოთქვა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, მხოლოდ კლუბის დატოვება სურს თუ მთლიანად ქვეყნისა. კლუბის დირექტორატი უახლეს მომავალში იმსჯელებს დე ბილდეს შესახებ, თუმცა ფიფამ ბელგიელებს აცნობა, რომ სანამ ფეხბურთელს დისკვალიფიკაციის ვადა არ დაუმთავრდება, მანამდე იგი სხვა კლუბში ვერ გადავა. „ანდერლეხტის" თავმჯდომარის როჯერ ვან დერ სტოკის განცხადებით, ფეხბურთელით ჰოლანდიური „ეინდჰოვენი" და „ფეიენოორდი" არიან დაინტერესებულნი.

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ნაკრები პარიზის გარეუბან სენ დენიში ასაგები სტადიონის გახსნის მატჩში ესპანეთს უმასპინძლებს. ფრანგთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ განაცხადა, რომ თამაშის დღე ჯერ არ დაზუსტებულა. თუმცა, სავარაუდოდ მომავალი წლის 28 იანვარს ასახელებენ. თავდაპირველად ფრანგებმა გერმანელები დაპატიჟეს, მაგრამ მათ იუარეს, ესპანელები კი ფრანგთა მიწვევას დაყაბულდნენ.

**პორტუგალიის** ჩემპიონ „პორტუს" თავმჯდომარე ჟორჟე ნუნიუ პინტუ და კოშტა და კლუბის დირექტორატის ორი წევრი ეჭვმიტანილნი არიან მსაჯის მოქრთამვაში და მისთვის ბრაზილიაში არდადეგების მოწყობაში. პოლიციამ ისინი დროებით დააკავა და დაკითხა. პინტუ და კოშტას თქმით, კლუბმა შეცდომით გადაურიცხა მაგან მსაჯს 4 600 დოლარი. პინტუ და კოშტას და კიდევ რამდენიმე პირს ბრალად ედებათ აგრეთვე 1984 წლის თასების თასის ნახევარფინალში „აბერდინთან" პირველ მატჩში მსაჯის მოქრთამვა.

**რუსეთის** ფეხბურთის კავშირის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ როდიონოვმა განაცხადა, რომ 1998 წლისთვის კლუბების რაოდენობა უმაღლეს ლიგაში 18-დან 16-მდე შემცირდება. მიზეზად მან ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად საჭირო პირობების შექმნა დაასახელა. „ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ნაკრებისთვის და თუნდაც იმავე კლუბებისთვის საერთაშორისო ტურნირებისთვის აუცილებელი ნორმალური მზადების საშუალება მოგვეცა. ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთში 1998 წელს კარგად გამოსვლას" — განაცხადა როდიონოვმა.

**რუსეთში** ატეხილი სკანდალი, რომელიც ცესკას ეხება, ჯერაც არ ჩამცხრალა. რუსეთის საფეხბურთო ლიგის გენერალურმა დირექტორმა ბორის ბობროვმა განაცხადა, რომ მათ მიიღეს წერილი ცესკადან, სადაც არმიის კლუბი იტყობინება, რომ ისინი შინაურ პრობლემებს 1 მარტამდე მოაგვარებენ და ჩემპიონატშიც ერთ განაცხადს შეიტანენ. აქამდე ცესკას მონაწილეობაზე ორი განაცხადი ჰქონდა შეტანილი, მაგრამ ფედერაციის მტკიცე პოზიციამ აიძულა გუნდის ხელმძღვანელობა, სერიოზულად დაფიქრებულიყო და მათაც ფედერაციაში წერილი აფრინეს.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ დეკემბერში 3 ქულით დააჯარიმა „მიდლსბრო". მიზეზი „ბლექბერნთან" უთამაშებლობა გახლდათ. ამ სანქციამ ისედაც გასაცოდავებული კლუბის მდგომარეობა უარესად დაამძიმა და „მიდლსბრომაც" არც აცია, არც აცხელა და ასოციაციაში პროტესტის წერილი გაგზავნა. წერილში გუნდის მწვრთნელის ბრაიან რობსონის მიერ დასაბუთებულია, თუ რატომ ვერ შეძლო „მიდლსბრომ" „ბლექბერნთან" თამაში. ორგანიზაციამ აპელაცია კი განიხილა, მაგრამ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, რადგან ჩათვალა, რომ მოხმობილი მიზეზები არ იძლეოდა იმის უფლებას, თამაში არ გამართულიყო. ადრე „მიდლსბროზე" მეტი ქულა დაექვითა ლონდონის „ტოტენჰემს", რომელიც 1994-95 სეზონის წინ სხვადასხვა მიზეზთა გამო ფეხბურთის ასოციაციამ 12 ქულით და თასიდან მოხსნით დააჯარიმა.

**ბელგიის** ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა მიშელ დუემ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნა „მუსკრონის" მწვრთნელი ჟორჟ ლიკენსი, რამაც ამ კლუბის ხელმძღვანელთა აღშფოთება გამოიწვია. მათ განაცხადეს, რომ მწვრთნელს „მუსკრონთან" კონტრაქტით კიდევ სამი წელი აქვს სამუშაო და ფედერაციას არავითარი უფლება არ ჰქონდა, [illegible] ნიშნა ლიკენსი [illegible] ლიკენსის ხელმძღვანელობით [illegible] ის ჩემპიონატის [illegible] „მუსკრონი", კლუბი, რომელსაც აქამდე ასეთი მიღწევა არ ჰქონია. გუნდი 4 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ბრიუგეს". „მუსკრონის" თავმჯდომარის ჟან-პიერ დეტრემერის განცხადებით, კლუბი ყველანაირად იბრძოლებს ლიკენსის გუნდში დასაბრუნებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუსკრონი ფედერაციისგან ძალზე დიდ თანხას ითხოვს მწვრთნელის სანაცვლოდ.

**აფრიკის** თასის გათამაშების შესარჩევი ეტაპის რამდენიმე მატჩი ჩატარდა შაბათ-კვირას. პირველ ჯგუფში ზიმბაბვემ 0:0 ითამაშა განასთან, მესამეში სენეგალისა და ეგვიპტის შეხვედრაც ასეთი ანგარიშით დასრულდა. მეხუთე ჯგუფში კენიამ 1:0 დაამარცხა გაბონი, მეშვიდეში მოზამბიკმა 3:0 სძლია მავრიკეთს, მალავიმ კი შინ წააგო ზამბიასთან 0:2.

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციას ევროკავშირისგან დაევალა, ორ თვეში წარადგინოს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის პარიზში მშენებარე სტადიონის პრობლემებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. სტადიონის მშენებლობა რამდენიმე წლის წინ დაიწყო პარიზის გარეუბანში, შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო მისი ამ ადგილზე აშენება სასურველი არ იყო. საფრანგეთის სპორტის მინისტრმა გი რუმ მშენებლობა დროებით შეაჩერა. არადა, სტადიონის ნახევარზე მეტი თითქმის აშენებულია. მშენებელ მხარეს, ბუნებრივია, მუშაობის შეჩერება არ სურს და მომხდარის შესახებ ზემდგომ ინსტანციებს მიმართა. ამის თაობაზე ევროკავშირსაც ეცნობა და ამიტომაც ითხოვს ეს ორგანიზაცია ფრანგთა პასუხს.

# სასამართლოს დარბაზიდან — 5

ვინჩესტერის სამეფო სასამართლოს წინაშე წარდგა გაზეთ „სანის" ჟურნალისტი ჯონ ტრუპი, რომელმაც 1994 წლის 8 ნოემბერს გამოაქვეყნა სენსაციური სტატია ინგლისურ ფეხბურთში მექრთამეობის შესახებ. სწორედ ამ სტატიაში პირველად ამხილეს მექრთამეობაში „ლივერპულისა" და „საუთჰემპტონის" ყოფილი მეკარე ბრიუს გრობელაარი, მისი ყოფილი და საქმიანი პარტნიორი კრის ვინსენტი, „ასტონ ვილას" აწ უკვე ყოფილი მოთამაშე ჯონ ფაშანუ, „უიმბლდონის" ჰოლანდიელი მეკარე ჰანს სეგერსი და მალაიზიური სანიძლაო სინდიკატის ლონდონელი წარმომადგენელი ჰენგ სუან ლიმი. შემდეგ ამ საქმეს სამართალდამცავმა ორგანოებმაც ჩასჭიდეს ხელი.

ჟურნალისტი დანაშაულებათა კვალზე კრის ვინსენტმა დააყენა. ტრუპმა განაცხადა, რომ ვინსენტთან სატელეფონო საუბრის შემდეგ მას გაზეთის მანჩესტერულ ოფისში, 1994 წლის 6 სექტემბერს შეხვდა. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო. ვინსენტის მონაყოლმა რეპორტიორი დაარწმუნა, რომ ამ ისტორიიდან ნაღდი, სენსაციური სტატიის გამოყვანა იყო შესაძლებელი. მეორე დღესაც შეხვდნენ ჟურნალისტი და ვინსენტი ერთმანეთს. ტრუპმა ინფორმატორის მონათხრობი თანმიმდევრულად ჩაიწერა. ამას რამდენიმე სატელეფონო თუ პირადი საუბარი მოჰყვა, 12 სექტემბერს კი ორივემ საუთჰემპტონის ერთ-ერთ სასტუმროს მიაშურა. იქ სასტუმროში ტრუპი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვინსენტი მართლაც გრობელაარის ნაცნობი იყო და თავში ფარული კამერისა და მიკროფონის დამონტაჟების აზრი მოუვიდა. პირველი მალული ფილმი ვინსენტისა და გრობელაარის 6 ოქტომბრის შეხვედრისას გადაიღეს. მეორე 25 ოქტომბერს, მესამე კი — 3 ნოემბერს. როდესაც სასამართლოს დარბაზში ჟურნალისტს ჰკითხეს, როდის ახსენა ვინსენტმა პირველად ჯონ ფაშანუ, პასუხად გაისმა: „პირველსავე შეხვედრაზე."

ნაფიც მსაჯულებს მოასმენინეს 1994 წლის 8 ნოემბერს („სანში" სტატიის გამოქვეყნების დღეს), „გეტვიკის" აეროპორტში ტრუპისა და გაი პატრიკის ინტერვიუ გრობელაართან. იმ დღეს მეკარე აფრიკას მიფრინავდა ზიმბაბვეს ნაკრებში სათამაშოდ. ერთ-ერთმა რეპორტიორმა (ჩანაწერში ისმის) ბრალდებულს განუცხადა, რომ აქვს უტყუარი საბუთები იმისა, რომ მან ინდონეზიელი ბიზნესმენისგან ქრთამი აიღო.



AP ჰანაფუსე

კვირას ბრალდებულმა გრობელაარმა ზიმბაბვეს ნაკრებში ითამაშა განის წინააღმდეგ

პასუხად ისმის: — ის 2 ათასი გირვანქა უსაფრთხო ადგილას შევინახე, ყოველი შემთხვევისთვის. მაგ კაცის (ვინსენტის) წინააღმდეგ სამხილი მაქვს. ჰოდა, ამიტომაა, ჩემს წინააღმდეგ საქმის შეთითხნას რომ ცდილობს.

გრობელაარი ამბობს, რომ ვინსენტი ამღვრეულ წყალში ფულის დაჭერას ლამობს (დაიჭირა კიდეც), ხოლო მას ძალად გოლის გაშვება ცხოვრებაში არ უცდია.

— როდესაც ბრალდების მოწმეები ბრალდებულის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ვერაა მთლად ისე — უთხრა ზიმბაბვეს ნაკრების მეკარემ თანამემამულე ჟურნალისტებს.

კვირას, ვინჩესტერელი მოსამართლის დიდსულოვანი თანხმობით, მას ნება დართეს ჰარარეში გადაფრენილიყო, სადაც ზიმბაბვე აფრიკის თასის შესარჩევ შეხვედრაში განას ეთამაშებოდა. მატჩი 0:0 დამთავრდა. გრობელაარმა რამდენიმე რთულად ასაღებ ბურთს გაართვა თავი.

ბრიუს გრობელაარი ზიმბაბველთათვის სხვაა. ის ერთადერთი თეთრკანიანი ფეხბურთელია მთელს გუნდში და ქვეყანაში, რომელიც დამოუკიდებლობამდე, ანუ 1980 წლამდე, სამოქალაქო ომით იყო გახლეჩილი, რასობრივი შემწყნარებლობის სიმბოლოა.

მას ერთგულმა თანამემამულეებმა „ჯუნგლების კაცი" შეარქვეს, განელებთან თამაშში კი მხარდამჭერი პლაკატებიც გამოფინეს: „ვივა ბრიუს!".

— ჩვენ ვღელავდით. გვეგონა სასამართლოს შემყურე ბრიუსი ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი იქნებოდა, მაგრამ ერთხელაც დავრწმუნდით, იგი დიდი პიროვნებაა — თქვა ზიმბაბველმა ტელეკომენტატორმა კლეინ სიფელვანიმ.

თამაშის დროს მოედანს ფუტკრების გუნდმა გადაუფრინა. მოთამაშეებს, მათ რიცხვში გრობელაარს, დაწოქვა და თავის ჩამალვა მოუხდა. შემდეგ კი წამოიმართა და ტონი იებოას ჩინებული დარტყმა აუღო.

გრობელაარი ლაღი ჩანდა: — რად დაკარგა „სანმა" თავისი მასალები? სად გაქრნენ ისინი, ამდენს ხომ სწორედ მათზე ლაპარაკობენ?!

და მაინც, მეკარის თქმით, საქმე ისე მიდის, როგორც მოსალოდნელი იყო. ყველაფერი რიგზეა.

წუხელ გრობელაარი ვინჩესტერს უნდა დაბრუნებოდა.

სასამართლო გრძელდება.

**ბიბა კობახიძე**

# DON'T CRY FOR ME FIORENTINA

## იტალია

### XVIII ტური

**ვერონა 3:1 მილანი**

30 000 მაყურებელი

ვერონა: გუარდალბენი, ბრაიკოვიჩი, ხივილია, ბარონი, ვანოლი, ბაჩი, ჯუნტა, ფიკადენტი (ამეტრანო 66), ორლანდინი, მანიერო, ძანინი (მანეტი 58)

მილანი: როსი, რაიციგერი, მალდინი, ბარეზი, კოკო, ერანიო (სავიჩევიჩი 46), დესაი, ბობანი, ბლომკვისტი (დავიდსი 46), რ. ბაჯო, დუგარი

გოლი: ძანინი (29), ბაჩი (37), ორლანდინი (53), ბობანი (67)

**სამპდორია 5:2 პერუჯა**

25 000 მაყურებელი

სამპდორია: ფერონი, ბალერი, საკეტი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, კარემბე, ვერონი (კარპარელი 79), ფრანჩესკეტი, ლეილი, მანჩინი (იაკოპინო 87), მონტელა

პერუჯა: ბუჩი, გაუტიერი, დიჩარა, კასტელინი, მატრეკანო, დიკიარა, გორეტი, ჯუნტი, კრეკი (რაპაიჩი 59), ალეგრი (კოტინი 46), ნეგრი (მიულერი 75)

გოლი: მანჩინი (5,57), მატრეკანო (12), ნეგრი (26), ბუჩი (43საკ. კარში), ვერონი (73), მონტელა (84პ)

გაფრთხილება: ვერონი, კრეკი, ალეგრი

გაძევება: დიჩარა (33)

**ნაპოლი 2:1 პარმა**

50 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, აიალა, ბალდინი, კოლონეზე, მილანეზე, ტურინი, პეკია, ბოლოხიანი (ალტომარე 78), კრუსი, ალიეტი (კრასონი 46), კაჩა (კაიო 88)

პარმა: ბუფონი, ზემარია, ტურამი, კანავარო, სენსინი, სტანიჩი, დ. ბაჯო, ბრავო (მუსი 46), კრიპა (სტრადა 60), კიეზა, კრესპო (მელი 75)

გოლი: პეკია (23), კიეზა (32), კრუსი (55)

გაფრთხილება: ბალდინი, პეკია, კანავარო, კრესპო, კრიპა

გაძევება: ტურინი (43)

**ვიჩენცა 3:2 ფიორენტინა**

16 500 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, ბელოტი, ლოპესი, დიგნაციო, მენდესი, დი კარლო, ამერინი (ფირმანი 69), ამბროზეტი (სოჯა 78), ოტერო (როსი 87), მურჯიტა

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პადალინო, ფიროკანო (რობიატი 46), ფალკონე (მ. ორლანდო 82), შუშედუ, კოისი, რუი კოშტა, შვარცი, ბატისტუტა, ბაიანო (ოლივეირა 67)

გოლი: ოტერო (1), პადალინო (22), მურჯიტა (37), ამბროზეტი (58), ბატისტუტა (66)

გაფრთხილება: ოტერო, ლოპესი, დიგნაციო, კოისი, შვარცი, პადალინო

**ატალანტა 4:1 კალიარი**

17 000 მაყურებელი

ატალანტა: მიჩილო, მირკოვიჩი, ბონაჩინა (რუსტიკო 58), ფოლიო (სროსონი 69), სოტილი, კარერა, სგრო, გალო, ლენტინი, ინძაგი, მორფეო (მაგალიანესი 83)

კალიარი: სტერჩელე, სკუკუჯა, პანკარო, ვილა, მინოტი, ბერეტა (ლონსტრუპი 58), სანა (თინქლერი 58), მუცი, ონილი, ტოვალიერი, კოცა (სილვა 55)

გოლი: მორფეო (28, 74 პ), ფოლიო (51), მინოტი (71), ინძაგი (81)

გაფრთხილება: რუსტიკო, გალო, ვილა, სკუკუჯა

გაძევება: მინოტი (74)

**ლაციო 1:2 ბოლონია**

35 000 მაყურებელი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფიში, ნესტა, გოტარდი, ფუზერი, ოკონი, ნედვედი, რამბაუდი (ბუზო 64), კაზირაგი, სინიორი (პროტი 76)

ბოლონია: ანტონიოლი, ტაროცი, ტორიზი, მანგონე (კარდონე 91), პარამატი, მაგონი, მაროკი (შალიმოვი 55), სკაპოლო (ბერგამო 81), ნერვო, ანდერსონი, კოლივანოვი

გოლი: ანდერსონი (41), კაზირაგი (46), ნერვო (59)

გაფრთხილება: მანგონე, მაგონი, ანდერსონი

**იუვენტუსი 3:1 რეჯანა**

25 000 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, პესოტო (ჯულიანო 87), ფერარა, მონტერო, ტაკინარდი, დილივიო, იუგოვიჩი, ზიდანი (ლომბარდო 71), პადოვანო (ვიერი 69), ამორუზო

რეჯანა: ბალოტა, პაცი (კაინი 51), გროსი, გალი, გრიუნი, სორდო (პარენტე 76), საბეუ, დენაპოლი, მაცოლა, კარი (ვალენსია 62), სიმუტენკოვი

გოლი: პადოვანო (6), იუგოვიჩი (28), ტაკინარდი (90), პარენტე (92)

გაფრთხილება: მაცოლა

**ინტერი 1:1 უდინეზე**

37 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, ძანეტი (ვინტერი 80), ანგლომა, მ. პაგანინი, გალანტე, სფორცა, ფრეზი, ინსი, ჯორკაეფი, ბრანკა, განცი (სამორანო 72)

უდინეზე: ტურჩი, პელეგი, სერჯო, კალორი, ბია, როსიტო, ნიკოლი (პიერინი 86), დეზიდერი (ჯანიკედა 86), სტროპა (კაპიოლი 75), ამოროზო, პოჯი

გოლი: პოჯი (13), ჯორკაეფი (63პ)

გაფრთხილება: ანგლომა, დეზიდერი, ბია

**პიაჩენცა 0:0 რომა**

12 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, დელი კარი, ლუჩი, მარი, დიფრანჩესკო, ვალოტი, პინი, შიენცა (მორეტი 63), პიოვანი (ვალტოლინა 83), ლუიზო (ტენტონი 77)

რომა: ჩერვონე, ანონი (პივოტო 90), პეტრუცი, ალდაირი, კარბონი, სტატუტო, დი ბიაჯო, ტერნი, ტომაზი (მორიერო 85), ბალბო, დელვეკიო

გაფრთხილება: შიენცა, ლუიზო, დიბიაჯო, ტერნი

ბოლო ხანია MTV-ზე ხშირად ატრიალებენ მადონას სიმღერას DON'T CRY FOR ME ARGENTINA (ნუ შემომტირებ არგენტინა). ეს სიმღერა ფილმიდანაა, რომელშიც ამერიკელი პოპვარსკვლავი არგენტინის ყოფილი პრეზიდენტის ხუან პერონის ცოლის, ევიტა პერონის როლს თამაშობს. არგენტინელია „ფიორენტინას" ვარსკვლავი გაბრიელ ბატისტუტაც. „ვიჩენცა" — „ფიორენტინას" შეხვედრაზე, გუნდს სტუმრად გაყოლილმა ფლორენციელმა გულშემატკივრებმა თავიანთ საყვარელ ფორვარდს ტრიბუნიდან ასეთი პლაკატი გადმოუფინეს: DON'T CRY FOR ME



ინტერი — უდინეზე. ჯორკაეფი პელეგს და კალორის გაურბის

FIORENTINA, რომელზეც ტექსტის გვერდით თავად გაბრიელი მიეხატათ. ბატისტუტამაც არ უმტყუნა ერთგულ ქომაგებს და 66-ე წუთზე საუცხოო გოლი გაიტანა. ყველაზე ეფექტური ამ ეპიზოდში გახლდათ ის, თუ როგორ გაიგდო არგენტინელმა ბურთი. რამდენიმე მეტოქეს შორის მოქცეულმა (ბურთზე წინ იყო და უკან არც იყურებოდა) იგი ქუსლით თავზე გადაიტარა, რითაც მოწინააღმდეგე და მისი მხარდამჭერნი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. უბადლოდ შეასრულა თავად დარტყმაც. და მაინც, სტუმრებს ამ სასწაულმა არ უშველათ. ბატისტუტას გოლმა მხოლოდდამხოლოდ შეამცირა სხვაობა, მეტი არაფერი. „ვიჩენცამ" მოიგო — 3:2.

დიახ, ბატისტუტა არგენტინელია. დიახაც საუცხოო გოლი გაიტანა, მაგრამ იტალიის პირველობის ამ ტურზე საუბრისას უპირველესად სხვა არგენტინელის და მისი ზღაპრული გოლის ხსენება გვმართებს. ამ არგენტინელს სებასტიან ვერონი ჰქვია, მის გოლს — შედევრი. მარცხნიდან ჩაწოდებულს შეუჩერებლად, მარჯვენა ფეხით, მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში ამოაყოფინა თავი. კაცს სუნთქვა შეეკვრებოდა.

ეს გოლი ბოლოსწინა იყო „სამპდორია" — „პერუჯას" შეხვედრაში. ამის გარდა ვერონის თანაგუნდელებმა რობერტო მანჩინიმ (ორჯერ) და ვინჩენცო მონტელამ (ერთიც პერუჯელმა ბუჩიმ საკუთარ კარში) მიითვალეს. სტუმართაგან მატრეკანომ და ნერიმ ივარგეს.

მონტელამ ზემოხსენებული გოლი პენალტით შეაგდო. იმ დროს უკვე ორგოლგატანილი მანჩინი ისევ მოედანზე იყო და თერთმეტმეტრიანი მას რომ დაერტყა, ჰეთ-თრიქსაც შეასრულებდა და სეზონში მეცამეტე გოლით ბომბარდირთა ლიდერს ატალანტელ ფილიპო ინძაგისაც დაეწეოდა, მაგრამ მონტელას დაუთმო. ახლა მანჩინი და მონტელა თორმეტი გოლით მეორეზე არიან.

„იუვენტუსს" არ გასჭირვებია. აუტსაიდერი „რეჯანა" ლიდერისთვის იოლი ლუკმა გამოდგა. მიქელე პადოვანომ თავისი ყოფილი გუნდი არ დაინდო, ერთი თავად გაუტანა, მეორე კი ვლადიმირ იუგოვიჩს შეაგდებინა. „ბებერმა ქალბატონმა" მესამე შეცვლაზე შესული ალესიო ტაკინარდის ფეხით შეასრულა, თუმცა ბოლოს ერთი მაინც გაუშვა.

„იუვეს" ერთი ორიგინალური აზრიც მოსვლია თავში. მოგეხსენებათ ევროპის სუპერთასზე პირველ თამაშში მან „პარი სენ-ჟერმენს" პარიზში 6:1 მოუგო. საპასუხო შეხვედრა, ცხადია, ერთობ სიმბოლურია და ეს ტურინის გუნდს ნაცვლად 5 თებერვლისა მარტში სურს, ნაცვლად ტურინისა პალერმოში. მიზეზი: ამ შეხვედრაზე, თან თებერვალში „დელე ალპიზე" კაციშვილი არ მივა, მარტში კი „ლა ფავორიტა" გაივსება. მთელი იტალიის უსაყვარლესი გუნდის თავის მოედანზე მასპინძლად ხილვა ხომ ყველა ქალაქის ოცნებაა. უეფას პასუხი „იუვეს" ჯერ არ მიუღია.

„ინტერმა" იცოდა, რომ შინ „უდინეზესთან" აუცილებლად უნდა მოეგო. აი, რას ამბობდა შავ-ლურჯების ფორვარდი მაურიციო განცი მატჩის წინა დღეს:

— „ინტერი" გამოუცნობი გუნდია. ჯობს ვიფრთხილოთ, რადგან თუ წავაგებთ, ჩემპიონობის შანსს დავკარგავთ.

გუნდის ვეტერანი ჯუზეპე ბერგომი გულნაკლულად იყო:

— გულახდილად გეტყვით, ეხლა, სეზონის შუაწელში, ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტი ქულის მოგროვება შეგვეძლო. აშკარაა, რომ სკუდეტოს მოსაპოვებლად „იუვენტუსის" ძლევა იქნება საჭირო. დახეთ, მათ მცირე კრიზისი გადალახეს და ძველებურად შეუჩერებელნი არიან.

იცოდა, რომ უნდა მოეგო, მაგრამ ვერ მოიგო. მეტიც, თავიდან აგებდა და მხოლოდ მეორე ტაიმში, იური ჯორკაეფის პენალტით შეძლო გაქვითვა.

— დღეს თერთმეტს თორმეტი გვეთამაშა — ბრაზობდა მატჩის შემდეგ „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი — „უდინეზეს" მეთორმეტე კაცი მსაჯი იყო. კონკრეტულად რას ჩიოდა ბიზნესმენი, უცნობია.

არიგო საკი კი, თუ „მილანის" მწვრთნელია, ვერონაში 1:3-ს აგებს. ასე იყო 1990 წელს, როდესაც შავ-წითლები მარკო ვან ბასტენითა და ფრანკ რაიკაარდით დამარცხდნენ და ამ მარცხით სკუდეტო დიეგო მარადონას „ნაპოლის" გადაულოცეს. ახლა საკის მეთაურობით „მილანმა" შვიდი შეხვედრა გამართა, რომელთაგან უკვე სამი წააგო. რობერტო ბაჯომ შეტევაში ყველა ღონე იხმარა, ზვონიმირ ბობანს და კრისტოფ დუგარის ბლომად მომენტებიც შეუქმნა, მაგრამ „ვერონას" კარში ერთადერთი გოლი გავიდა, ისიც ბოლოს, უკვე 0:3-ს რომ აგებდნენ. ძალიან სუსტი იყო „მილანის" დაცვა.

— „ვერონა" ჩვენთვის ამჯერადაც საბედისწერო გამოდგა — დაადასტურა საკიმ.

ნეაპოლში კარლო ანჩელოტის „პარმას" ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია 1:2 მარცხით შეუწყდა. მასპინძლებმა ბრაზილიელი მცველის ანდრე კრუზის ზუსტად შესრულებული ჯარიმით მიაღწიეს გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, რომ ფაბიო პეკიას გაძევების შემდეგ კარგა ხანს უმცირესობაში იყვნენ.

უგოლო და უხეირო გამოდგა „პიაჩენცასა" და „რომას" შეხვედრა. მასპინძლებმა მოუგებელ მატჩთა რიცხვი შვიდამდე გაზარდეს. „რომასაც" უხეირო დროება უდგას — ბოლო ხუთ შეხვედრაში ერთადერთხელ იმარჯვა.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 26-13 | 36 |
| სამპდორია | 18 | 9 | 5 | 4 | 37-23 | 32 |
| ვიჩენცა | 18 | 8 | 6 | 4 | 30-20 | 30 |
| ინტერი | 18 | 7 | 8 | 3 | 26-21 | 29 |
| ბოლონია | 18 | 8 | 4 | 6 | 26-22 | 28 |
| ატალანტა | 18 | 7 | 6 | 5 | 24-22 | 27 |
| პარმა | 18 | 7 | 6 | 5 | 18-16 | 27 |
| ნაპოლი | 18 | 7 | 6 | 5 | 23-25 | 27 |
| ფიორენტინა | 18 | 6 | 8 | 4 | 27-20 | 26 |
| მილანი | 18 | 7 | 4 | 7 | 25-23 | 25 |
| რომა | 18 | 6 | 6 | 6 | 26-23 | 24 |
| ლაციო | 18 | 6 | 5 | 7 | 19-18 | 23 |
| უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 25-26 | 23 |
| პერუჯა | 18 | 5 | 3 | 10 | 23-36 | 18 |
| კალიარი | 18 | 3 | 6 | 9 | 20-32 | 15 |
| ვერონა | 18 | 3 | 5 | 10 | 20-32 | 14 |
| რეჯანა | 18 | 1 | 7 | 10 | 15-31 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 13 |
| მონტელა (სამპდორია) | 12 |
| მანჩინი (სამპდორია) | 12 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 11 |
| ბალბო (რომა) | 11 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 9 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 9 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 8 |
| ვეა (მილანი) | 7 |
| სინიორი (ლაციო) | 7 |
| პოჯი (უდინეზე) | 7 |
| პადოვანო (იუვენტუსი) | 7 |
| კიეზა (პარმა) | 7 |

### სერია B

მე-19 ტური: დი სანგრო — ბარი 1:3, ემპოლი — კრემონეზე 0:0, ფოჯა — კიევო 0:0, ლეჩე — ჩეზენა 2:1, პადოვა — პესკარა 1:3, პალერმო — ჯენოა 1:1, რავენა — ტორინო 0:3, რეჯინა — სალერნიტანა 3:0, ვენეცია — ბრეშია 3:0, ლუკეზე — კოზენცა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 19 | 11 | 5 | 3 | 33-23 | 38 |
| ტორინო | 19 | 10 | 4 | 5 | 30-20 | 34 |
| პესკარა | 19 | 8 | 7 | 4 | 26-17 | 31 |
| ბრეშია | 19 | 8 | 7 | 4 | 21-18 | 31 |
| რავენა | 19 | 8 | 6 | 5 | 23-22 | 30 |
| ბარი | 19 | 6 | 11 | 2 | 27-16 | 29 |
| ემპოლი | 19 | 7 | 6 | 6 | 20-20 | 27 |
| ჯენოა | 19 | 5 | 10 | 4 | 25-16 | 25 |
| ლუკეზე | 19 | 5 | 9 | 5 | 16-15 | 24 |
| პადოვა | 19 | 5 | 9 | 5 | 21-24 | 24 |
| ფოჯა | 19 | 6 | 6 | 7 | 19-24 | 24 |
| კიევო | 19 | 4 | 10 | 5 | 19-20 | 22 |
| ვენეცია | 19 | 5 | 6 | 8 | 23-23 | 21 |
| კოზენცა | 19 | 5 | 6 | 8 | 21-26 | 21 |
| სალერნიტანა | 19 | 5 | 6 | 8 | 10-19 | 21 |
| პალერმო | 19 | 3 | 11 | 5 | 19-23 | 20 |
| რეჯინა | 19 | 4 | 8 | 7 | 18-22 | 20 |
| დი სანგრო | 19 | 5 | 4 | 10 | 10-22 | 19 |
| ჩეზენა | 19 | 3 | 9 | 7 | 15-19 | 18 |
| კრემონეზე | 19 | 4 | 6 | 9 | 12-19 | 18 |

## პორტუგალია

მე-17 ტური: ამადორა — ესპინიუ 2:0, სალგეიროში — ფარენსე 2:1, შავეში — რიუ ავე 1:1, ლეირია — მარიტიმუ 2:0, ბრაგა — გიმარაეში 0:2, სეტუბალი — ლეცა 1:0, სპორტინგი — ბოავიშტა 3:1, ბენფიკა — ბელენენსეში 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 14 | 2 | 0 | 38-7 | 44 |
| სპორტინგი | 17 | 10 | 4 | 3 | 25-10 | 34 |
| ბენფიკა | 17 | 10 | 3 | 4 | 31-11 | 33 |
| ესპინიუ | 17 | 8 | 3 | 6 | 19-20 | 27 |
| ამადორა | 17 | 7 | 5 | 5 | 21-16 | 26 |
| ბრაგა | 17 | 7 | 5 | 5 | 21-26 | 26 |
| სეტუბალი | 17 | 6 | 7 | 4 | 22-19 | 25 |
| გიმარაეში | 17 | 7 | 3 | 7 | 24-23 | 24 |
| შავეში | 17 | 6 | 6 | 5 | 18-21 | 24 |
| სალგეიროში | 17 | 5 | 7 | 5 | 22-24 | 22 |
| ფარენსე | 17 | 5 | 6 | 6 | 14-16 | 21 |
| მარიტიმუ | 17 | 5 | 5 | 7 | 19-26 | 20 |
| ბელენენსეში | 17 | 5 | 5 | 7 | 22-31 | 20 |
| ბოავიშტა | 17 | 4 | 7 | 6 | 24-24 | 19 |
| ლეცა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-22 | 19 |
| ლეირია | 17 | 4 | 3 | 10 | 12-26 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 2 | 3 | 11 | 16-30 | 9 |
| რიუ ავე | 17 | 1 | 4 | 12 | 15-30 | 7 |

## საბერძნეთი

მე-18 ტური. ოლიმპიაკოსი — კასტორია 3:0, კალამატა — პანათინაიკოსი 1:0, აეკი — კავალა 2:1, პაოკი — ოფი 2:0, პანახაიკი — ედესაიკოსი 3:2, ქსანტი — პანილიაკოსი 1:0, აპოლონი — იონიკოსი 0:1, ათინაიკოსი — არისი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 13 | 3 | 2 | 29:8 | 42 |
| პანათინაიკოსი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:10 | 39 |
| აეკი | 18 | 12 | 3 | 3 | 39:15 | 39 |
| ოფი | 18 | 10 | 4 | 4 | 26:16 | 34 |
| პანილიაკოსი | 18 | 8 | 3 | 7 | 22:22 | 27 |
| იონიკოსი | 18 | 8 | 3 | 7 | 20:20 | 27 |
| პაოკი | 18 | 6 | 8 | 4 | 16:15 | 26 |
| ვეროია | 17 | 7 | 4 | 6 | 20:13 | 25 |
| კავალა | 18 | 7 | 4 | 7 | 17:16 | 25 |
| კალამატა | 18 | 6 | 7 | 5 | 24:26 | 25 |
| პანახაიკი | 18 | 6 | 6 | 6 | 19:20 | 24 |
| ათინაიკოსი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:32 | 19 |
| აპოლონი | 18 | 5 | 3 | 10 | 18:25 | 18 |
| არისი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:30 | 18 |
| ქსანტი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:25 | 18 |
| ირაკლისი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:29 | 16 |
| ედესაიკოსი | 18 | 4 | 4 | 10 | 22:29 | 16 |
| კასტორია | 18 | 1 | 3 | 14 | 10:36 | 6 |

## თურქეთი

მე-19 ტური. სარიერი — სამსუნი 4:1; ვანი — ბეშიქთაში 0:0; დარდანელი — დენიზლი 3:0; ქოჯაელი — ალთაი 0:0; ანკარაგიუჯიუ — ანთალია 0:1; ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 1:0; ისთანბული — გენჩლერბირლიგი 0:3; ტრაბზონი — გალათასარაი 0:0; ბურსა — ზეითუნბურნუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 19 | 14 | 4 | 1 | 51:16 | 46 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 13 | 4 | 2 | 38:11 | 43 |
| ტრაბზონი | 19 | 13 | 3 | 3 | 34:17 | 42 |
| ბეშიქთაში | 19 | 11 | 6 | 2 | 45:14 | 39 |
| გაზიანთეფი | 19 | 9 | 6 | 4 | 21:16 | 33 |
| ბურსა | 19 | 9 | 5 | 5 | 29:19 | 32 |
| ქოჯაელი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 |
| სარიერი | 19 | 8 | 3 | 8 | 31:26 | 27 |
| გენჩლერბირ. | 19 | 8 | 3 | 8 | 21:21 | 27 |
| ანთალია | 19 | 6 | 5 | 8 | 23:26 | 23 |
| სამსუნი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:32 | 23 |
| ისთანბული | 19 | 6 | 4 | 9 | 22:28 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 6 | 3 | 10 | 21:29 | 21 |
| ალთაი | 19 | 5 | 5 | 9 | 18:36 | 20 |
| დარდანელი | 19 | 4 | 4 | 11 | 16:36 | 16 |
| ვანი | 19 | 3 | 5 | 11 | 14:31 | 14 |
| დენიზლი | 19 | 3 | 2 | 14 | 18:38 | 11 |
| ზეითუნბურნუ | 19 | 1 | 4 | 14 | 15:47 | 7 |

## ბელგია

20-ე ტური. სერკლ ბრიუგე — ლომელი 3:1, გენკი — მოლენბეკი 3:1, სენტ ტრიუდენი — ბრიუგე 2:1, ლიერსი — ეკერენი 0:0, გენტი — მეხელენი 2:2, შარელბეკი — შარლერუა 0:0, ანტვერპენი — აალსტი 1:0, სტანდარდი — ლოკერენი 3:3, ანდერლეხტი — მუსკრონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 20 | 12 | 6 | 2 | 37:17 | 42 |
| ლიერსი | 20 | 10 | 8 | 2 | 33:19 | 38 |
| ბრიუგე | 20 | 11 | 4 | 5 | 39:25 | 37 |
| შარელბეკი | 20 | 11 | 4 | 5 | 35:21 | 37 |
| ანტვერპენი | 20 | 11 | 2 | 7 | 33:30 | 35 |
| სტანდარდი | 20 | 11 | 1 | 8 | 35:27 | 34 |
| ანდერლეხტი | 19 | 8 | 8 | 3 | 30:14 | 32 |
| ლომელი | 19 | 8 | 5 | 6 | 29:31 | 29 |
| გენკი | 20 | 6 | 8 | 6 | 24:25 | 26 |
| მოლენბეკი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:27 | 25 |
| გენტი | 20 | 7 | 4 | 9 | 32:38 | 25 |
| ლოკერენი | 20 | 6 | 6 | 8 | 30:33 | 24 |
| შარლერუა | 20 | 6 | 4 | 10 | 25:29 | 22 |
| მეხელენი | 20 | 4 | 8 | 8 | 20:29 | 20 |
| სტ-ტრიუდენი | 20 | 4 | 6 | 10 | 27:40 | 18 |
| აალსტი | 20 | 3 | 8 | 9 | 25:37 | 17 |
| ეკერენი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:34 | 17 |
| სერკლ ბრიუგე | 20 | 2 | 5 | 13 | 22:44 | 11 |

# ეგებ თასზე ივარგოს

## ინგლისი

### ასოციაციის თასი

მესამე წრე

**ბრენტფორდი 0:1 სიტი**

**სიტი: მარგეტსონი, ბრაიტველი, ინგრემი, ლომასი, საიმონსი, კერნეგენი, სამერბი, მაკგოლდრიკი, ბეინი, ქინქლაძე, როსლერი**
**გოლი: სამერბი (62)**

„ნოტინგემიდან" მოსული ფრენკ კლარკის ხელმძღვანელობით „სიტი" მესამე მატჩია, არ აგებს. ორი ფრეს შემდეგ გიოს გუნდმა იმარჯვა. „სიტიმ" კლარკს დაახლოებით 11 მილიონი გირვანქა გამოუყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად, თუმცა ამ სეზონში კლუბის მეხუთე მწვრთნელი არ აჩქარებულა. მან სასტარტო შემადგენლობაში დააბრუნა მცველი ალან კერნეგენი.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მეათე წუთზე კერნეგენი უხეშად შეცდა, ბენტი მეკარესთან პირისპირ დატოვა, თუმცა საიმონსმა მოასწრო და მომენტი განმუხტა. წუთის შემდეგ როსლერს შეეძლო შეგდება, მაგრამ ააცილა. მას ტაიმის შუაშიც შეეძლო გატანა, მაგრამ სამერბის გადაცემა ვერ გამოიყენა. 44-ე წუთზე კი როსლერისვე დარტყმული ხარიხას გადასცდა. პირველ ნახევარში მარგეტსონმა ორჯერ გადაარჩინა „სიტი": პირველად ბეიტსს აუღო, მოგვიანებით კი ფორსტერის დარტყმა მოიგერია. მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთა ნახევარმცველმა სმიტმა ექვსი მეტრიდან მოახერხა აცილება. ნელ-ნელა „სიტის" შეტევები გამწვავდა და მალე ქინქლაძის ჩინებული გადაცემით სამერბიმ ბოლო 14 თვეში პირველი გოლი გაიტანა.

მეოთხე წრე

**ჩელსი 4:2 ლივერპული**

**ჩელსი: ჰიჩკოკი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, დი მატეო, მინტო (ჰიუზი 46), სინკლერი, ნიუტონი, ძოლა, ვიალი, უაიზი**
**ლივერპული: ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი, ბიორნებიუ (ბერგერი 74), რაიტი, მაკმანამანი, მატეო, კოლიმორი, ფაულერი, ბარნსი, რედნეპი**
**გოლი: ფაულერი (10), კოლიმორი (21), ჰიუზი (50), ძოლა (58), ვიალი (63,76)**

ეს მართლაც ულამაზესი სანახაობა იყო. შეხვედრას გლენ ჰოდლიც დაესწრო — ნაკრების მომავალი მატჩისთვის ფეხბურთელებს ათვალიერებდა. თან იტალიურ სამეულს ვიალი-ძოლა-დი მატეოს აკვირდებოდა. თამაში ლონდონელთათვის უიღბლოდ დაიწყო. ბრწყინვალედ თამაშობდა წითლების ვეტერანი ჯონ ბარნსი, რომელიც „ლივერპულის" ნამდვილი სული და გული იყო. პირველ ნახევარში მას დი მატეო ეთამაშებოდა, თუმცა იტალიელი ვერას გახდა. ცენტრში ბარნსის დაწყებული კომბინაცია ნორვეგიელმა ბიორნებიუმ გააგრძელა, მისი გადაცემით კი ფაულერმა „ჩელსი" დაალონა. ათ წუთში ძოლას გადაწოდებული ბურთი ნიუტონმა კოლიმორს „ჩააბარა", ამანაც შეტევა თავად გააგრძელა, ძლიერადაც დაარტყა და ჰიჩკოკი მეორედ დარჩა უძლური. გულიტმა დიდი საფრთხე იგრძნო, შესვენებაზე გვარიანად წაიმუშავა და მეორე ტაიმში „ჩელსი" სრულიად განსხვავებულად ათამაშდა. თან ბარნსიც დაიქანცა და „ლივერპულის" შუა ხაზმაც რღვევა იწყო. შეცვლაზე შესულმა უელსელმა ჰიუზმა ოთხ წუთში ერთი ბურთი გაქვითა. ხუთ წუთში მაკმანამანმა ფაულერი გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა რობიმ ვერ ივარგა. ამის შემდეგ კი „სტემფორდ ბრიჯზე" იტალიელთა ბენეფისი დაიწყო. ცენტრში ჰიუზმა ბარნსს აართვა ბურთი და უმალ ძოლას მიაწოდა, იტალიელმა კი უსწრაფესად ჩაუქროლა მის წინ აღმართულ ორ ლივერპულელს და დაახლოებით ოცი მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა. „ჩელსის" გულშემატკივრებმა ცეკვა-სიმღერა წამოიწყეს — იგრძნეს, „ლივერპული" მასპინძელთა შეტევებს ველარ გაუძლებდა. გოლმაც არ დააყოვნა. ძოლამ პეტრესკუს მიაწოდა, რუმინელმა კი პირდაპირ ფეხზე დაასვა ბურთი ტრავმის შემდეგ პირველად გასულ ვიალის, რომელიც სწრაფად შეიჭრა საჯარიმოში და ჯეიმსს აუღებელი დაურტყა. მასპინძლებმა დაწინაურება არ იკმარეს და იერიშები არ დაიცხრეს, სტუმრები კი... როი ევანსსმა მოედანზე ჩეხი პატრიკ ბერგერი შეუშვა. მისი შესვლა ფეხბედნიერი გამოდგა, ოღონდ „ჩელსისთვის". ბერგერი ვიალისთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა, ძოლამ კი თანამემამულეს პირდაპირ თავზე დაასვა ბურთი და ვიალიმაც უძლიერესად დაარტყა — ჯეიმსი არც განძრეულა, მხოლოდა გააყოლა ბურთს. „ლივერპულის" წლევანდელი სათასო სეზონი დასრულდა. „ჩელსი" — „ლივერპულის" შეხვედრებში 1971 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ლივერპულელთა ორბურთიანი დაწინაურების შემდეგ „ჩელსიმ" მათი დამარცხება შეძლო.

**ნიუკასლი 1:2 ნოტინგემი**

**ნიუკასლი: ჰისლოპი, ბარტონი (კლარკი 84), ბერესფორდი (უოტსონი 19), პიკოკი, ელიოტი, ბეტი, ლი, ბერდსლი, ჟინოლა (გილესპი 63), შირერი, ფერდინანდი**
**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-უილიამსი, ფილიპსი, ჰაალანდი, უოენი, როი (ლი 82), კემპბელი**
**გოლი: ფერდინანდი (60), უოენი (76, 80)**

სტიუარტ პირსის ხელმძღვანელობით „ნოტინგემი" საოცრად მოყოჩაღდა. პირსი ახლა მოთამაშეცაა, საკმაოდ იღბლიანი მწვრთნელიც და, თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანს „ნოტინგემის" ფინანსურ დირექტორად ან პრეზიდენტად აირჩიონ. მისი თაოსნობით კლუბმა ბოლო ექვს თამაშში 13 ქულა მოაგროვა, ახლა კი, აგერ, სენსაციაც გააჩერხა.

თამაშის წინ ხმები დაირხა, ასპრილია ითამაშებსო, მაგრამ კოლუმბიელი სათადარიგოებშიც არ გამოჩენილა. თავიდან შირერ-ფერდინანდის დუეტი ძალიან სახიფათოდ მოქმედებდა, მაგრამ მეტოქის დაცვას და განსაკუთრებით კროსლის ძვრა ვერ უყო, თუმცა მეორე ტაიმში, მე-60 წუთზე ფერდინანდმა მაინც შეაგდო — შირერმა სოლო რეიდი განახორციელა, ბურთი ლესს მიაწოდა, ამან კი თაური დაჰკრა. თითქოს ამას ელოდაო, გამოცოცხლდა „ნოტინგემის" ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირი იან უოენი. მანამდე უჯიგროდ მოთამაშე ჟინოლა დალგლიშმა გილესპით შეცვალა, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა. უოენის ერთ-ერთი დარტყმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბარტონმა, რომელიც „ნიუკასლის" მარცხის მთავარი მიზეზი გახდა — ავტოგოლის გარდა მან ოთხ წუთში უოენის შეჩერება ვერ შეძლო და ამან უძლიერესი დარტყმით მეორე გაიტანა.

**მანჩესტერი 1:1 უიმბლდონი**

**იუნაიტედი: შმაიხელი, ნევილი, ირვინი, კლეგი, პობორსკი (სოლსკიაერი 77), კასპერი, კანტონა, მაკლეირი (კოული 77), კინი, სქოულზი, გიგზი**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კომბლი, ჯოუნზი, ბლექველი, პერი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ (ჰოლდსუორსი 75), ერდლი (ჯაპი 88), გეილი**
**გოლი: სქოულზი (89), გეილი (90)**

თასის მფლობელმა ბოლო წამს გაუშვა მოგება ხელიდან. „იუნაიტედი" ძალიან ცდილობს, ზედიზედ მეოთხე სათასო ფინალში ითამაშოს, რაც ამ შეხვედრამაც დაადასტურა. პირველივე წუთებიდან მასპინძლებმა კარს მიაჯაჭვეს მეტოქე, თუმცა გოლი ვერა და ვერ გაიტანეს. შეხვედრის ბოლო უიშვიათესი სანახაობა გამოდგა. კანტონამ ფლანგზე ჩაიქროლა, ჩააწოდა, სქოულზმა კი თავით ბურთი სალივანს გადაატარა და გაიტანა. ერთ წუთში კი „იუნაიტედის" კართან საჯარიმო დაინიშნა. კიმბლის დარტყმულს გეილმა დაამატა, შმაიხელმა კი რეაგირება ვერ მოასწრო.

**ამათ გარდა გაიმართა თასის გათამაშების მეოთხე წრის სხვა შეხვედრები: ბირმინგემ სიტი — სტოკპორტი 3:1, კარლაილი — შეფილდ უენსდეი 0:2, ევერტონი — ბრედფორდი 2:3, დერბი ქაუნთი — ასტონ ვილა 3:1, ჰედერსფორდი — მიდლსბრო 2:3, ლესტერი — ნორვიჩი 2:1, პორტსმუთი — რედინგი 3:0, ქუინზ პარკი — ბარნსლი 3:2. მესამე წრის სხვა მატჩები კი ასე დამთავრდა: ქოვენტრი — უოქინგი 1:1, ვესტ ჰემი — რექსჰემი 0:1, ბოლტონი — ლუთონი 6:2, ლიდს იუნაიტედი — კრისტალ პალასი 1:0.**

კენჭისყრის შედეგად გუნდები მეხუთე წრეში ასე დაწყვილდნენ:

**ლესტერი — ჩელსი**
**ბრედფორდი — შეფილდ უენსდეი**
**ბირმინგემი — პიტერბრო-რექსჰემს შორის მოგებული**
**მანჩესტერ იუნაიტედ-უიმბლდონს შორის მოგებული — ქუინზ პარკი**
**ბოლტონ-ჩესტერფილდს შორის მოგებული — ნოტინგემი**
**მანჩესტერ სიტი-უოტერფორდს შორის მოგებული — მიდლსბრო**
**არსენალ-ლიდსს შორის მოგებული — პორტსმუთი**
**დერბი ქაუნთი — ან ბლექბერნი, ან ქოვენტრი, ანაც უოქინგი.**




ბარსელონა-რაიო ვალეკანო. რონალდოსთვის მარტინ გონსალესი დაბრკოლება არაა

# აი, ასეთი მწამს „რეალი"

ესპანეთის პირველობა „რეალისა" და „ბარსელონას" დოლში გადაიზარდა. ეს მითუფრო გამოიკვეთა, რაც შაბათს „დეპორტივომ" სტუმრად 0:1 წააგო „ესტრემადურასთან". ამ შეხვედრის ერთადერთი გოლი ასე გავიდა: არგენტინელმა ვალტერ სილვანიმ საჯარიმოში მცველთა ზეწოლით წაიბორძიკა. ის იყო, ზურგით ეცემოდა, რომ მარცხენა ფეხი შემთხვევით გაჰკრა ბურთს და ბადეში შეაგდო.

ამრიგად „დეპორტივო" ჩამორჩა. იცოდა რა ეს, „ბარსამ" „რაიო ვალეკანო" გაბრდღვნა. ანგარიში ლუის ენრიკემ გახსნა, თაურით, სერხის პასით. მეორე გოლი თავად სერხიმ გაიტანა, 25 მეტრიდან, შემდეგ კი ახლახან გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა რონალდომ გაილაღა — სამჯერ შეაგდო. წერტილი წარმოშობით არგენტინელმა, მოქალაქეობითა და ნაკრებით კი ესპანელმა ხუან პიციმ დასვა. უჩვეულო არაფერი ჩაუდენია, შეცვლაზე შევიდა და შეაგდო.

— მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის პრიზის მიღების შემდეგ სამი გოლის შეგდება მართლაც მშვენივრად გამოუვიდა — თქვა მატჩის შემდეგ „ბარსას" ინგლისელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა. რობსონს ასეთი სასიამოვნო და უწყინარი საკითხით შემოფარგვლა რომ დაცლოდა, რა უჭირდა. „ნოუ კამპზე" შეკრებილმა გულშემატკივრებმა, რატომღაც 5:0-ზეც კი უსტვინეს.

— ხალხი სისტემას გვიკრიტიკებს — თქვა რობსონმა — ვერ გამიგია: განა შეუძლებელია 50-ზე მეტი გოლის გატანას უსისტემოდ? მე ვთვლი, რომ ჩვენი გოლები სისტემისა და მოთამაშეთა ოსტატობის ზედდების შედეგია.

ამრიგად, ბრიტანელ მწვრთნელებს ესპანეთში გვარიანი კრიტიკის სმენა უწევთ. რობსონზე უარეს დღეში ზემოხსენებული „დეპორტივოს" თავკაცი უელსელი ჯონ ტოშაკია. „ესტრემადურასთან" მარცხი მისი გუნდისთვის სეზონში მხოლოდ მეორე კი იყო, მაგრამ იმავდროულად ბოლო ოთხ მატჩში მეორეც გახლდათ. ლა კორუნიელებს 8 დეკემბრის მერე აღარ მოუგიათ.

იტალიელ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს კი საქმე დიდებულად მიუდის. „ბარსამ" 6:0 მოიგო? კი ბატონო, მისმა „რეალმაც" გაიმარჯვა — 4:0 (სეზონის უდიდესი ანგარიში „რეალისთვის") და ცხრილში უპირატესობა შეინარჩუნა.

მადრიდელთა გოლებს ბრაზილიელმა რობერტო კარლოსმა დაუდო საფუძველი. მან ჯარიმა შეასრულა ჩინებულად, შემდეგ კი არგენტინელ ფერნანდო რედონდოს გაუწია ასისტენტობა. რედონდომ ამ სეზონში პირველი გოლი გაიტანა. მესამე რაულმა შეაგდო, ჩემპიონატში თავისი მეათე გოლი, ფარდა კი დავორ შუკერმა დაუშვა.

— აი, ასეთი „რეალი" მომწონს — თქვა მატჩის შემდეგ კაპელომ — ვთამაშობთ კარგად, ყურადღებით. თანაც, ამ ტურით პირველი წრე დასრულდა, წრის ჩემპიონობა კი ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ „ბარსელონა" და „რეალი", ზეგ, ხუთშაბათს, წარსდგებიან პირისპირ „ნოუ კამპზე" ესპანეთის თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში. მანამდე დღეს „დეპორტივო" „ესპანიოლს" უმასპინძლებს, ხვალ კი გაიმართება ლას პალმასი — ვალენსია, ლერიდა — სელტა, ტენერიფე — ბეტისი, ატლეტიკო — კომპოსტელა, რაიო ვალეკანო — ესტრემადურა, რასინგი — ბილბაო.

## ესპანეთი

XXI ტური

**რეალი 4:0 სელტა**

1:0 რობერტო კარლოსი (21), 2:0 რედონდო (55), 3:0 რაული (71), 4:0 შუკერი ([illegible])

**ბილბაო 5:0 ერკულესი**

1:0 სიგანდა (18), 2:0 ლარაინსარი (34), 3:0 გერერო (61), 4:0 სიგანდა (70), 5:0 გერერო (84)

**ბარსელონა 6:0 რაიო ვალეკანო**

1:0 ლუის ენრიკე (14), 2:0 სერხი (19), 3:0 რონალდო (22), 4:0 რონალდო (35 პ), 5:0 რონალდო (45), 6:0 პიცი (75)

**სევილია 0:0 რასინგი**

**ლოგრონიესი 1:0 სოსიედადი**

1:0 რიკარდო (90)

**კომპოსტელა 2:1 სარაგოსა**

1:0 ოპენი (60), 2:0 ხუარესი (76), 2:1 მორიენტესი (90)

**სპორტინგი 0:0 ოვიედო**

**ესტრემადურა 1:0 დეპორტივო**

1:0 სილვანი (66)

**ვალენსია 1:1 ესპანიოლი**

1:0 მოია (73), 1:1 კემბრანოსი (85)

**ტენერიფე — ატლეტიკო**

„ატლეტიკოს" ძირითადი შემადგენლობის ათი ფეხბურთელის ავადმყოფობის გამო გადაიდო.

ბეტისი — ვალიადოლიდი წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 21 | 14 | 7 | 0 | 43-14 | 49 |
| ბარსელონა | 21 | 14 | 4 | 3 | 60-26 | 46 |
| დეპორტივო | 21 | 10 | 9 | 2 | 28-13 | 39 |
| სოსიედადი | 21 | 11 | 4 | 6 | 30-23 | 37 |
| ბეტისი | 19 | 10 | 6 | 3 | 39-19 | 36 |
| ატლეტიკო | 20 | 10 | 5 | 5 | 39-27 | 35 |
| ბილბაო | 21 | 8 | 8 | 5 | 38-28 | 32 |
| ვალიადოლიდი | 20 | 8 | 6 | 6 | 24-22 | 30 |
| რასინგი | 21 | 7 | 9 | 5 | 22-21 | 30 |
| ტენერიფე | 20 | 8 | 5 | 7 | 34-22 | 29 |
| ვალენსია | 21 | 8 | 4 | 9 | 29-28 | 28 |
| ოვიედო | 21 | 7 | 5 | 9 | 26-27 | 26 |
| სელტა | 21 | 6 | 6 | 9 | 21-28 | 24 |
| რაიო | 20 | 6 | 5 | 9 | 23-28 | 23 |
| ესპანიოლი | 21 | 6 | 5 | 10 | 23-29 | 23 |
| კომპოსტელა | 21 | 6 | 5 | 10 | 20-37 | 23 |
| სპორტინგი | 20 | 5 | 7 | 8 | 19-26 | 22 |
| ლოგრონიესი | 21 | 6 | 3 | 12 | 16-44 | 21 |
| სევილია | 20 | 5 | 3 | 12 | 15-28 | 18 |
| ერკულესი | 21 | 5 | 3 | 13 | 19-40 | 18 |
| სარაგოსა | 21 | 2 | 9 | 10 | 21-37 | 15 |
| ესტრემადურა | 21 | 3 | 6 | 12 | 13-35 | 15 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონალდო (ბარსელონა) | 18 |
| შუკერი (რეალი) | 15 |
| სიგანდა (ბილბაო) | 13 |
| გერერო (ბილბაო) | 11 |
| ოლი (ოვიედო) | 10 |
| რაული (რეალი) | 10 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 10 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 9 |
| ესნაიდერი (ატლეტიკო) | 9 |
| ოპენი (კომპოსტელა) | 9 |

## საფრანგეთი

XXVI ტური

**მონაკო 2:0 პსჟ**

1:0 ლეგვინსკი (64), 2:0 ანდერსონი (71)

**კაენი 2:3 ოსერი**

0:1 ხიბორსკი (21), 0:2 დენიო (55), 0:3 ლახლანდი (59), 1:3 ვაირუა (88), 2:3 ნი (90)

**მარსელი 1:0 ნიცა**

1:0 გრაველენი (45)

**ბორდო 4:1 ნიცა**

1:0 მიკუ (61), 1:1 კუბიცა (76), 2:1 ზიანი (85), 3:1 დიაგარა (90), 4:1 ტოლო (90)

**ნანტი 1:1 ლე ავრი**

1:0 შანლე (55), 1:1 იუსმანი (56)

**სტრასბური 3:0 რენი**

1:0 ნუმა (8), 2:0 ნუმა (51), 3:0 რაშკე (68)

**ნანსი 2:3 მეცი**

0:1 პირესი (14), 0:2 ბლანშარი (56), 1:2 რაბეხანდრატანა (86), 2:2 რაბეხანდრატანა (89), 2:3 ბლანშარი(90)

**კანი 0:0 ლანსი**

**გინგამი 1:0 ლილი**

1:0 იუსკოვიაკი (87)

**მონპელიე 2:1 ლიონი**

1:0 კოხეცკი (11), 2:0 ლეფევრი (15), 2:1 კაველია (58)

„პარი სენ-ჟერმენს" ცუდად არ უთამაშია, მაგრამ „მონაკომ" ითამაშა კარგად. კარგად დაიცვა, კარგად შეუტია...

# ტიგანას რისკი უმართლებს

მონაკოელთა ნიჭიერი ყმაწვილი, ტირეი ანრი პარიზელთა დაცვის მარჯვენა ფრთას ტანჯავდა.

მონაკოს ლუი მეორეს სტადიონზე გამართულ საფრანგეთის პირველობის ალბათ უმთავრეს შეხვედრაში ტიგანას გუნდმა იძალა, თუმცა პირველ გოლამდე მეტ-ნაკლებად მაინც თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. 64-ე წუთზე კი „პარი სენ-ჟერმენისა" და საფრანგეთის ნაკრების მეკარემ ბერნარ ლამამ, სილვენ ლეგვინსკის დარტყმულს ხელი კი გაჰკრა, მაგრამ მაინც გაუშვა.

—ბრწყინვალედ არ გვითამაშია, მაგრამ კარგად ნამდვილად ვმოქმედებდით. ყველაფერი გოლმა შეცვალა. ძნელია გაქვითო, მითუფრო ასეთ მოედანზე — თქვა პარიზელთა მცველმა ლე გენმა.

ჟან ტიგანამ კი ამ დროს ტაქტიკური ცვლილება გაბედა, თან როგორი — დაცვითი საქმიანობით გვარიანად დაკავებული შოტლანდიელი ჯონ კოლინზი ფორვარდ ვიქტორ იკპებათი შეცვალა. ტაქტიკის ცვლამ გაამართლა, გუნდმა მეორეც შეაგდო. იკპებამ გრძელი პასით ხეირიან პოზიციაზე გაიყვანა თანაგუნდელი, ბრაზილიელი ანდერსონი. ამანაც არ იყოყმანა, ბრუნო ნგოტისაც დაუსხლტა და გოლი გაიტანა.

— მწვრთნელის გადაწყვეტილება მეტად რისკიანი იყო. ტაქტიკის ცვლას იმ მომენტში შესაძლოა ფიასკოც მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. იკპებას შესვლამ შეტევის გაცოცხლება გამოიწვია — თქვა იკპებას მიერ შეცვლილმა კოლინზმა, რომელსაც „სელტიკთან" ერთად ბათუმში აქვს ნათამაშები.

„ნანტმა" „ლე ავრთან" 1:1 ითამაშა, რითაც ზედიზედ წაუგებელ მატჩთა რაოდენობა ჩვიდმეტამდე გაზარდა. „ნანტის" მწვრთნელმა ჟან-კლოდ სიუდომ „ლე ავრის" და საფრანგეთის ნაკრების (სათადარიგო) მეკარეზე თქვა: რევომ საგანგებოდ ითამაშა. დღეს ერთი კაცის საღამო იყო, მან პირადად გამოგვგლიჯა ხელიდან გამარჯვება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 24 | 15 | 6 | 3 | 42-17 | 51 |
| პსჟ | 24 | 12 | 8 | 4 | 35-18 | 44 |
| ბასტია | 24 | 12 | 6 | 6 | 33-25 | 42 |
| ბორდო | 24 | 11 | 7 | 6 | 37-27 | 40 |
| სტრასბური | 24 | 13 | 1 | 10 | 31-30 | 40 |
| მეცი | 24 | 10 | 9 | 5 | 28-21 | 39 |
| ოსერი | 24 | 10 | 8 | 6 | 31-19 | 38 |
| ნანტი | 24 | 8 | 11 | 15 | 43-26 | 35 |
| მარსელი | 24 | 8 | 9 | 7 | 25-22 | 33 |
| გინგამი | 24 | 8 | 8 | 8 | 19-20 | 32 |
| ლიონი | 24 | 8 | 8 | 8 | 31-36 | 32 |
| რენი | 24 | 9 | 4 | 11 | 29-35 | 31 |
| კანი | 24 | 7 | 8 | 9 | 15-23 | 29 |
| ლილი | 24 | 7 | 8 | 9 | 24-34 | 29 |
| ლე ავრი | 24 | 6 | 8 | 10 | 24-29 | 26 |
| ლანსი | 24 | 7 | 5 | 12 | 26-38 | 26 |
| მონპელიე | 24 | 5 | 10 | 9 | 21-27 | 25 |
| კაენი | 24 | 4 | 8 | 12 | 20-31 | 20 |
| ნანსი | 24 | 4 | 7 | 13 | 21-33 | 19 |
| ნიცა | 24 | 4 | 5 | 15 | 20-44 | 17 |

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXX ტური

28 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — პორტ ვეილი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| გრიმსბი — ბარნსლი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| მანჩესტერ სიტი — შეფილდ იუნაიტედი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ოლდემი — ჩარლტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| პორტსმუთი — ოქსფორდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ქუინზ პარკი — ბირმინგემი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| რედინგი — ჰადერსფილდი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| საუთენდი — კრისტალ პალასი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| სტოკ სიტი — ბოლტონი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| ტრანმერი — ნორვიჩი | 1,8 | 2,7 | 3,1 |

### ინგლისის ლიგის თასი. მეოთხედფინალი

29 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| საუთჰემპტონი — სთოქპორტი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |

### იტალიის თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

29 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — ნაპოლი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ბოლონია | 1,5 | 3,0 | 5,3 |

### საფრანგეთის ლიგის თასი. მეოთხედფინალი

28-29 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონპელიე — რენი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სტრასბური — ლორანი | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ბორდო — კაენი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლანსი — მონაკო | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### ესპანეთის თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები

28-30 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — რეალი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლას პალმასი — ვალენსია | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლერიდა — სელტა | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| ტენერიფე — ბეტისი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| დეპორტივო — ესპანიოლი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ატლეტიკო — კომპოსტელა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,45 | 2,9 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რასინგი — ბილბაო | 1,8 | 2,7 | 3,8 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIV ტური

1-3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — სანდერლენდი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბლექბერნი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| დერბი ქაუნთი — ლივერპული | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| ევერტონი — ნოტინგემი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლიდსი — არსენალი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — საუთჰემპტონი | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ნიუკასლი — ლესტერი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| შეფილდ უენსდეი — ქოვენთრი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| უიმბლდონი — მიდლსბრო | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ტოტენჰემი — ჩელსი | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXI ტური

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ბირმინგემი | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბრედფორდი — ჰადერსფილდი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| გრიმსბი — ჩარლტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ნორვიჩი — ბარნსლი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ოქსფორდი — მანჩესტერ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| პორტსმუთი — ოლდემი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ქუინზ პარკი — კრისტალ პალასი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| საუთენდი — იფსვიჩი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| სვინდონი — შეფილდ იუნაიტედი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ტრანმერი — რედინგი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ვულვერჰემპტონი — სტოკ სიტი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIX ტური

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ვერონა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კალიარი — იუვენტუსი | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| ფიორენტინა — ატალანტა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| მილანი — სამპდორია | 1,8 | 3,0 | 3,4 |
| პარმა — პიაჩენცა | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პერუჯა — ინტერი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| რეჯანა — ნაპოლი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| რომა — ვიჩენცა | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| უდინეზე — ლაციო | 2,0 | 2,7 | 3,1 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XX ტური

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოჯა — სალერნიტანა | 1,6 | 2,9 | 4,7 |

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრეშია — ბარი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ჩეზენა — ტორინო | 4,4 | 3,0 | 1,6 |
| კოზენცა — დი სანგრო | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| კრემონეზე — კიევო | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ემპოლი — პადოვა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლეჩე — რეჯინა | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლუკეზე — ჯენოა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პესკარა — პალერმო | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ვენეცია — რავენა | 2,0 | 2,9 | 2,9 |


ეროვნული ბიბლიოთეკა


### ესპანეთის ჩემპიონატი. XXII ტური

1-3 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — ტენერიფე | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ლოგრონიესი — სარაგოსა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| სევილია — სოსიედადი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| ვალენსია — რასინგი | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სპორტინგი — ესპანიოლი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ბარსელონა — ოვიედო | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ბილბაო — ბეტისი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ესტრემადურა — ერკულესი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| რეალი — დეპორტივო | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| სელტა — ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტური

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — სტრასბური | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რენი — კაენი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ნიცა — მარსელი | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| ოსერი — ნანსი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლილი — ბორდო | 2,9 | 2,7 | 2,1 |
| მეცი — ნანტი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ლე ავრი — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლიონი — მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — კანი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ლანსი — გინგამი | 1,8 | 2,6 | 4,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XVIII ტური

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაგა — ბენფიკა | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ჟილ ვისენტე — გიმარაეში | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| სეტუბალი — პორტუ | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| ლეირია — ლეცა | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| შავეში — მარიტიმუ | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| სალგეირუში — რიუ ავე | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ამადორა — ფარენსე | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| სპორტინგი — ესპინიუ | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბოავიშტა — ბელენენსეში | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — კილმარნოკი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰიბერნიანი — რეით როვერსი | 1,4 | 3,2 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რეინჯერსი — ჰართსი | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 5,0 | 3,1 | 1,5 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XX ტური

31 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალთაი — ფენერბაჰჩე | 8,0 | 4,2 | 1,2 |
| 1:0 | 3,0 | 3,4 | 1,5 |

1 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ტრაბზონსფორი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

2 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ქოჩაელისფორი | 1,1 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და' ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## CROCO-2

| ტირაჟი №14 | ტირაჟი №15 |
|---|---|
| 1. ბარსელონა — რეალი | 1. კალიარი — იუვენტუსი |
| 2. ლას პალმასი — ვალენსია | 2. ფიორენტინა — ატალანტა |
| 3. ლერიდა — სელტა | 3. მილანი — სამპდორია |
| 4. ტენერიფე — ბეტისი | 4. პერუჯა — ინტერი |
| 5. დეპორტივო — ესპანიოლი | 5. რეჯანა — ნაპოლი |
| 6. რასინგი — ბილბაო | 6. უდინეზე — ლაციო |
| 7. ინტერი — ნაპოლი | 7. ბილბაო — ბეტისი |
| 8. ვიჩენცა — ბოლონია | 8. ტოტენჰემი — ჩელსი |

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება JACK POT

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

24 იანვარი. ჰართფორდი — აილენდერზი 2:5, ბუფალო — ედმონტონი 1:3, ოტავა — კალგარი 2:2, ვაშინგტონი — დალასი 2:5, ჩიკაგო — ტორონტო 1:2, სან ხოსე — ნიუ ჯერზი 1:3.
25 იანვარი. ბოსტონი — კოლორადო 4:1, პიტსბურგი — რეინჯერზი 4:7, ბუფალო — ჰართფორდი 1:5, მონრეალი — სენტ ლუისი 1:8, აილენდერზი — ჩიკაგო 3:2, ფილადელფია — დეტროიტი 1:4, ფლორიდა — ტამპა 3:2, ტორონტო — დალასი 1:5, ფინიქსი — ვანკუვერი 4:0, ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 2:2.
26 იანვარი. მონრეალი — პიტსბურგი 2:5, ვაშინგტონი — ედმონტონი 1:3.

# ლემიემ ჰოკერით განაახლა

უქმეებზე გამართულ მატჩებში ორ-ორი მოგება აილენდერზმა, ედმონტონმა და დალასმა მიითვალეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი ორი გუნდის მიღწევა. აილენდერზი ჰართფორდს და ჩიკაგოს გაუმკლავდა. თანაც პირველთან გუნდის ლიდერებმა პალფიმ და კინგმა (18) ორ-ორი შაიბა შეაგდეს, ჩიკაგოში კი პალფის და მასპინძელთა ლიდერის ამონტეს შეჯიბრება ფრედ დამთავრდა (ორივეს 30-30 შაიბა გაუხდა), მაგრამ სლოვაკის პარტნიორებმა ბოლო წუთებზე სმოლინსკის და არმსტრონგის ძალისხმევით გარდატეხა შეიტანეს. ნიუ იორკელები ოდნავ მიუახლოვდნენ იმ გუნდებს, რომლებიც თასზე გასვლისთვის დარჩენილი ორი ადგილისთვის იბრძვიან. დანარჩენი ექვსი, ჩვენი აზრით, უკვე განაწილებულია, რადგან ლიდერებს საკმაოდ მყარი პოზიციები აქვთ.

რაც შეეხება ედმონტონს, მან ერთნაირი ანგარიშით დაამარცხა ბუფალო და ვაშინგტონი, თანაც ორივე თამაშში ყველაფერი ბოლო პერიოდში გადაწყდა. თუ პირველ შემთხვევაში ანგარიში გუნდის ლიდერებმა კოვალენკომ (1+1, 24) და საუკეთესო დებიუტანტმა სმიტმა (224) გააკეთეს, მეორეში იშვიათად გამტანმა მაკჯილისმა (2+0) გამოიჩინა თავი.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ტორონტო მთელ ძალ-ღონეს ხმარობს სიტუაციის გამოსასწორებლად. ჩიკაგოში ტორონტოელებს ბედმა გაუღიმათ და ოვერტაიმში მიულერმა (15) გუნდს ზედიზედ მესამე გამარჯვება მოუტანა. აღსანიშნავია, რომ თამაში საკმაოდ კორექტულად წარიმართა და მაყურებელთა შორის ყველაზე პოპულარულ მოჩხუბართა, ჩიკაგოელი პრობერის და ტორონტოელი დომის მოსალოდნელი ჩხუბი ამჯერად არ შედგა.

კალიფორნიის გუნდები ბოლო დღეებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და თანაც ნიუ ჯერზის მასპინძლობდნენ. აქ ყველაზე უკეთ ანაჰაიმი გამოიყურებოდა, რომელშიც კარია-რუჩინი-სელიანეს წამყვანი სამეული თითქმის ყველა მატჩში გამოირჩევა. ლოს ანჯელესთან კარიამ ორი გოლი მოამზადა, თანაც მისი პასით პრონგერმა ლოგაში პირველი შაიბა შეაგდო.

სამი დღის განმავლობაში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს ფილადელფია და დეტროიტი. ამჯერად გამარჯვება „წითელ ფრთებს“ ხვდა წილად, სადაც ტრავმირებული ფიოდოროვის არყოფნაში ლიდერობა ისევ აიზერმანმა და შენაჰანმა (1+1, 26) იკისრეს, თანაც პირველმა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გოლი გაიტანა.

კოლორადოს რიგებში თვენახევრიანი შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი, შვედი ფორსბერგი და პირველივე თამაშში საგოლე პასი გააკეთა, თუმცა ამ მომენტისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, რადგან ბოსტონელებმა მანამდე სამჯერ გაიტანეს. ფინიქსელმა გოლკიპერმა ხაბიბულინმა (პირველი მშრალი მატჩი სეზონში) და რენიკმა (2+0, 14) ძირითადი წვლილი შეიტანეს გუნდის დამაჯერებელ გამარჯვებაში ვანკუვერთან. სხვათა შორის, ბოლო ხანს გავრცელდა ცნობა, რომ ვანკუვერი აპირებს მოგილნის გაყიდვას, რადგან მისი თამაში არ შეესაბამება 4-მილიონიან კონტრაქტს. დიდ ინტერესს სნაიპერის მიმართ ჩიკაგო ამჟღავნებს.

ისე, ჩიკაგოს საქმეც საკმაოდ ცუდადაა, ზედიზე ხუთი მარცხის შემდეგ ოდესღაც მრისხანე კლუბი დივიზიონის ბოლოსწინა ადგილზე დაეშვა.

და მაინც უიქენდის მთავარ მოვლენად მარიო ლემიეს დაბრუნება იქცა. მანამდე „პინგვინებმა“ ხელმეორედ წააგეს, თანაც რეინჯერზთან სულ წინ იყვნენ 2:0, 3:1, 4:3, მაგრამ კვლავ მესიემ (1+3) თქვა თავისი სიტყვა. ჯერ თვითონ შეაგდო, შემდეგ კი თავის პარტნიორებს გრეივზს (16) და ვორობიოვს (რუსმა სადებიუტო 5 მატჩში 8 ქულა დააგროვა) მიაწოდა. გამოირჩა გრეცკიც. მან სამი პასი გააზერხა და ოდნავ მიუახლოვდა ლემიე-იაგრის დუეტს. მაგრამ კვირას ლემიე გამოვიდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ბრწყინვალე გოლეადორმა მესამე პერიოდში „ჰოკერი“ (4 შაიბა) გააკეთა და სახელოვან მონრეალს ნოკდაუნი აგემა. საინტერესოა, რომ ლემიემ მანამდე 1450-ე ქულა დააგროვა და ახლა მხოლოდ 11 ქულით ჩამორჩება ნჰლ-ის მეექვსე ბომბარდირს სტენ მიკიტას.

მონრეალს კი მანამდე, სენტ ლუისში, ყოფილმა თანაკლუბელმა ტარჯონმა შავი დღე აყარა. მისმა სამეულმა 3 შაიბა გაიტანა, პარტნიორებმა ანგარიში გამანადგურებლამდე აიყვანეს, სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ კემპბელმა კი ორი შაიბა მიუმატა პირად ანგარიშს. ასეა თუ ისე, ლიგის 6 უძველესი გუნდიდან (მონრეალი, ტორონტო, ჩიკაგო, რეინჯერზი, დეტროიტი და ბოსტონი) მხოლოდ ორი, დეტროიტი და რეინჯერზი იმყოფება კარგ პოზიციებზე. დანარჩენებს კი არსებობისთვის ბრძოლა ელით.

ბოლოს აღვნიშნავთ რამდენიმე მიღწევას. ანაჰაიმელმა სელიანემ მე-400, ხოლო ედმონტონელმა არნოტმა მე-200 ქულა დააგროვეს. ვაშინგტონელმა პივონკამ მე-400 და ფინიქსელმა რონინგმა მე-300 პასი გააკეთეს.

### სამეულ ლარიბიანი

ბომბარდირები: ლემიე — 84 (34+50), იაგრი (ორივე პიტსბურგი) — 75 (41+34), გრეცკი (რეინჯერზი) — 67 (16+51), სუნდინი (ტორონტო) — 61 (29+32), სელიანე (ანაჰაიმი) — 61 (26+35), ფრენსიზი (პიტსბურგი) — 60 (19+41), მესიე (რეინჯერზი) — 57 (27+30), საკიკი (კოლორადო) — 55 (15+40), პალფი (აილენდერზი) — 54 (30+24), ლეკლერი ( ფილადელფია) — 53 (29+24), ლიჩი (რეინჯერზი) — 53 (15+38), აიზერმანი (დეტროიტი) — 53 (13+40), ტკაჩუკი (ფინიქსი) — 52 (30+22), შენაჰანი (დეტროიტი) — 52 (26+26).

სნაიპერები: იაგრი — 41, ლემიე — 34, პალფი, ბონდრა (ვაშინგტონი), ამონტე (ჩიკაგო), ტკაჩუკი — 30, ლეკლერი, სუნდინი — 29, მესიე — 27.

ასისტენტები: გრეცკი — 51, ლემიე — 50, საკიკი, აიზერმანი, ფრენსიზი — 40, ლიჩი — 38, სელიანე და გილმორი (ტორონტო) — 33.

მცველები: ლიჩი — 53 (15+38), ოზოლინში (კოლორადო) — 43 (15+28), ჰეჩერი (პიტსბურგი) — 39 (11+28), ტვერდოვსკი (ფინიქსი) — 37 (8+29) ჩელიოსი (ჩიკაგო) — 33 (8+25), მაკინისი (სენტ ლუისი) — 30 (11+19), ლიდსტრიომი (დეტროიტი) — 30 (8+22), ბერარდი (აილენდერზი) — 29 (5+24), დ. მირონოვი (ანაჰაიმი) — 28 (7+21), ბ. მირონოვი (ედმონტონი) — 28 (5+23).

დებიუტანტი: სმიტი (ედმონტონი) — 41 (24+17), კემპბელი (სენტ ლუისი) — 34 (17+17), აიჯინლა (კალგარი) — 32 (14+18), ბერარდი — 29 (5+24), ლანგებრუნერი (დალასი) — 25 (11+14), იორკი (სენტ ლუისი) — 25 (10+15), ნიინიმა (ფილადელფია) — 24 (1+23).

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 49 | 27 | 5 | 17 | 183-151 | 59 |
| ბუფალო | 49 | 25 | 5 | 19 | 142-131 | 55 |
| ჰართფორდი | 48 | 20 | 7 | 21 | 140-152 | 47 |
| მონრეალი | 50 | 18 | 8 | 24 | 157-177 | 44 |
| ბოსტონი | 48 | 18 | 6 | 24 | 140-170 | 42 |
| ოტავა | 45 | 14 | 9 | 22 | 122-134 | 37 |

ატლანტიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 48 | 27 | 7 | 14 | 153-120 | 61 |
| ფლორიდა | 48 | 24 | 10 | 14 | 138-113 | 58 |
| რეინჯერზი | 51 | 25 | 7 | 19 | 177-143 | 57 |
| ნიუ ჯერზი | 46 | 24 | 5 | 17 | 121-115 | 53 |
| ვაშინგტონი | 49 | 20 | 5 | 24 | 130-136 | 45 |
| ტამპა | 46 | 18 | 6 | 22 | 133-144 | 42 |
| აილენდერზი | 48 | 16 | 9 | 23 | 133-142 | 41 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 48 | 27 | 4 | 17 | 143-117 | 58 |
| დეტროიტი | 47 | 22 | 9 | 16 | 144-108 | 53 |
| სენტ ლუისი | 49 | 23 | 4 | 22 | 149-155 | 50 |
| ფინიქსი | 48 | 21 | 4 | 23 | 135-153 | 46 |
| ჩიკაგო | 51 | 17 | 8 | 26 | 128-138 | 42 |
| ტორონტო | 49 | 19 | 0 | 30 | 144-174 | 38 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 49 | 29 | 8 | 12 | 165-115 | 66 |
| ედმონტონი | 50 | 22 | 5 | 23 | 158-152 | 49 |
| ვანკუვერი | 47 | 22 | 2 | 23 | 150-158 | 46 |
| ანაჰაიმი | 47 | 18 | 6 | 23 | 133-143 | 42 |
| კალგარი | 48 | 17 | 6 | 25 | 119-142 | 40 |
| ლოს ანჯელესი | 48 | 17 | 6 | 25 | 129-162 | 40 |
| სან ხოსე | 46 | 17 | 5 | 24 | 121-146 | 39 |

ევროლიგა

# რუსმა რუსებს...

25-26 იანვარს ფინეთის ქალაქ ტურკუში ევროპის ოთხმა უძლიერესმა გუნდმა ევროლიგის გამარჯვებული გამოავლინა. თავიდან ნახევარფინალები შედგა. პირველში მასპინძლებმა, ტპს-ის ჰოკეისტებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და სლოვაკეთის „სლოვანს“ შანსი არ დაუტოვეს — ანგარიში 5:3 სრულად არ ასახავს ფინელების უპირატესობას.

მეორე ნახევარფინალში კი გაცილებით სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა. მოსკოვის „დინამო“ ძირითად დროში ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ მეტოქემ, შვედეთის „ფრელუნდამ“ ორჯერვე გაათანაბრა. ოვერტაიმში კი მიზანს რუსი გრიბკოს შორეულმა დარტყმამ მიაღწია — 3:2, და მოსკოვის „დინამო“, ისევე როგორც 1993 წლის ევროთასის ფინალში, ტპს-ს შეხვდა.

ფინალურ მატჩს სიმძაფრე თითქმის ბოლო წუთამდე შერჩა, რადგან ანგარიში მინიმალური — 3:2 იყო, და აქ ფინელებმა ესტონელი სუურსოოს ძალისხმევით მეოთხე შაიბა შეაგდეს. ბოლო წამებზე რუსებმა ოდესღაც მათ მიერ გალანძღულ კანადელთა ტრადიციულ ხერხს, მეტოქეთა ერთ-ერთი მოთამაშის ყვანჯის მოღუნვის გაზომვას მიმართეს, რიცხვმრავლობა მიიღეს, მეკარეც შეცვალეს... და მეხუთე გოლი მიიღეს — 2:5. ტპს-მ სამი წლის წინანდელ გამარჯვებას ევროლიგის პირველი გათამაშების გამარჯვებულის ტიტული მიუმატა.

საინტერესოა, რომ მოსკოველებმა 90-იან წლებში მეხუთე ფინალი წააგეს (ოთხჯერ 90-93 ევროთასზე).

მესამე ადგილი შვედებს ხვდათ წილად, მათ „სლოვანს“ 4:3 სძლიეს.

აღსანიშნავია, რომ ტპს, რომელსაც „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი იურზინოვი მეთაურობდა, ისევე, როგორც ევროთასის გამარჯვებული რუსეთის „ლადა“, მონაწილეობას მიიღებს ე.წ. სუპერთასში, სადაც აღნიშნულთა გარდა ნჰლ-ის ორი კლუბია დაპატიჟებული. აქედან ერთი უკვე ცნობილია — ვაშინგტონი.

რაც შეეხება ევროლიგას, მომავალ წელს მასში 24 გუნდი იასპარეზებს (ნაცვლად 20-სა), თანაც წამყვანი ქვეყნები 3-3 გუნდით იქნებიან წარდგენილნი.

სპორტული ცეკვები

# ყრილობა ორ მოქმედებად

კვირას გამართული საქართველოს სამეჯლისო (სპორტული) ცეკვების ეროვნული ასოციაციის ყრილობის დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი ტრადიციული იყო ამგვარი ღონისძიებებისთვის.

1991-1996 წლებში ასოციაციის საქმიანობის ანგარიშით წარდგა სსცეა-ს პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე. მან აღნიშნა: იმის მიუხედავად, რომ საქართველოში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება სუფევდა, ასოციაციას მუშაობა არ შეუწყვეტია. ამ წლებში გაიმართა 59 რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსი, ასოციაციამ მოაწყო 40 სილამაზის კონკურსი, ჩვენი სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზეც გამოდიოდნენ. სარევიზიო კომისიის ანგარიშის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ლექვეიშვილი, რომელმაც დამსწრეთ თავისი საქმიანობის შესახებ მოუთხრო. ლექვეიშვილს ვაშლოვანში სამეჯლისო ცეკვების ჯგუფი გაუხსნია და კონკურსიც გაუმართავს. ვაშლოვანში ასეთი რამ პირველად ჩატარდა და ამ ღონისძიებას დიდი რეზონანსი მოჰყვაო — თქვა ვიცე-პრეზიდენტმა.

ასოციაციის მუშაობა ყრილობამ დადებითად შეაფასა. აღინიშნა, რომ მუშაობის ძირითადმა სიმძიმემ ამ წლებში თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების მხრებზე გადაიარა. დელეგატებმა სთხოვეს ბატონ თენგიზს, ეპრეზიდენტა კიდევ ერთი ვადით. თანხმობის შემდეგ კი იგი ერთხმად აირჩიეს სპორტული ცეკვების ასოციაციის პრეზიდენტად.

ოფიციალური ნაწილის ჩამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ეთხოვა, არ დაიშალოთო, და ვალსის დამთავრების შემდეგ, რომელიც ქართველმა მოცეკვავეებმა წარმოადგინეს, დელიკატესებითა და უცხო ხილით დამძიმებულ მაგიდასთან მიიწვიეს. დელეგატები შამპანურს შეექცეოდნენ, ამ დროს კი მოცეკვავე წყვილები ტანგოსა და ვალსს დაფარფატებდნენ.

ერეკლე ძიძილაშვილი

ჭიდაობა

# ძნელ საქმეზე წავიდნენ

გუშინ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გაემგზავრნენ მოსკოვს, იქ ღამეს გაათევენ, დღეს კი გაეშურებიან კრასნოიარსკს, სადაც ივან იარიგინის სახელობის ტურნირში იასპარეზებენ.

ნაკრების შემადგენლობაში ექვსი მოჭიდავეა: ოთარ თუშიშვილი, გოჩა კრიკიტაძე (54 კგ), დავით პოლოსიანი, გოჩა ხარებავა (63), ემზარ ბედინეიშვილი (69) და ელდარ კურტანიძე (97). ჩვენს გუნდს უფროსი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე და მწვრთნელი გიორგი გალდავა უხელმძღვანელებენ. სპორტსაზოგადოება „მართვემ“ კრასნოიარსკში ვახტანგ ბალავაძე მიავლინა, სპორტსმენები კი სპორტის დეპარტამენტის ხარჯით გაემგზავრნენ.

როგორც ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ იაშვილმა გვითხრა, კრასნოიარსკის ტურნირი კვლავაც საკმაოდ პოპულარულია, მასში მუდამ მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები გამოდიან და იქ გამარჯვება ერთობ ძნელი და სასახელო საქმეა.

ერეკლე ძიძილაშვილი

ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად
(1 დღეში)
(შპს, ინდივიდუალური საწარმო, სს)

რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39

ვიყიდი

შეღავათიან ფასებში ტყუპების ჩასაჯდომ ნახმარ ეტლს მუშა მდგომარეობაში.
ტელ. 22-47-66

ბავშვთა კვება



Gerber

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

Gerber კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

Gerber 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

Gerber ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი“ იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

## რაგბი



„მამლებისა“ და „ბრივის“ 10 ნომერ ალენ პენოს მუესები კი დაუწყდა, მაგრამ „ჰაინეკენის“ ევროპის თასი, ვერცხლის რომაა და სპონსორის ხათრით ზედ რაგბის კარის ძელების დარი H ადგას, მაინც ყოჩაღად აიტაცა

როიტერი
კარდიფიდან

# გააბურთავ-გააბითურეს!

ევროპის თასის ფინალი
25. I. კარდიფი. არმზ პარკი
40 664 მაყურებელი

**ბრივი 28:9 ლესთერი**

(8:6). მსაჯი ბევანი (უელსი)

ბრივი (საფრანგეთი): ვიარი; ფაბრი, ლამეზონი, ვანდიტი, კარა; პენო (პაპ) (პეილა), კარბონო — კაზადე (ბუტი), ტრავერი, კრესპი; ალეგრი (რიისი), როსი; ფანდერლინდენი (დომი), კაცალა, დიუბუასე (ლაბრუსი). — 4ლ: ვიარი, ფაბრი, კარა (2); გ, ს და ა: ლამეზონი

ლესთერი (ინგლისი): ჯ. ლაილი; პაქნი, გრინვუდი, პოტერი, რ. ანდერვუდი (პლოიდი); რ. ლაილი, პილი — რაუნთრი, ქოქერილი, გარფორსი; ჯონსონი, პული; ველზი, ბექი, რიჩარდსი (პაპ) (მილერი). — ვს: ჯ. ლაილი

ევროპის საკლუბო თასი მეორედ გათამაშდა და კვლავ ფრანგების გამარჯვებით დასრულდა: ფინალში, შარშანდელის დარად კარდიფში რომ გაიმართა, მაგრამ ორჯერ უფრო ხალხმრავალი აუდიტორია მიიზიდა, საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონმა ინგლისის ვიცე-ჩემპიონი ძლია, რაკი ჩემპიონებმა — „ტულუზმა“ (საფრანგეთისამ) და „ბასმა“ (ინგლისისამ) ფინალამდე ვერ მიატანეს.

შეჯიბრებამ გაამართლა. „ლესთერის“ მწვრთნელი მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონის — ავსტრალიის „ვოლაბების“ მოძღვარი ბობ დვაიერია. მისი თქმით, ამ შეჯიბრის მონაწილენი უკვე თამაშობენ სამხრეთი ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობის — ზე-12-ის მაჩანჩალების დონეზე; მოკლედ, ნახევარსფეროების გამყოფი უფსკრული თანდათან ივსებაო.

„ბრივს“ ნაკრების ყოფილი ბურჯი ლორან სენი წვრთნის, კონსულტანტი კი დვაიერის მარჯვენა ხელი, „ვოლაბთა“ ექს-კაპიტანი ნიკ ფარ-ჯოუნზია. ფინალამდე ისა და ბობი ერთმანეთს კიდეც შეხმიანებიან და მორიგებულან, რომ შედეგის მიუხედავად მაინც მეგობრებად დარჩენილიყვნენ.

დვაიერი მკაცრი მწვრთნელია და მოთამაშეებს თავ-თავის ადგილებს მიუჩენს. ამ სეზონში შემადგენლობიდან ერთი პიროვნება კიდეც დაითხოვა 85 ინგლისური კეპის პატრონი, 33 წლის რორი ანდერვუდი, ბებერი 8 ნომერი დინ რიჩარდსი კი თუმც ერთობ აქო და დაიახლოვა, დაიმორჩილა და დავალებას ასრულებინებს ხოლმე.

არც სენი ყოფილა ჯაბანი. მას საგულისხმო საწვრთნელი მეთოდები ჰქონია. პოლონელი გრეგორი კაცალა ლიგის რაგბის კლუბ „პარი სენ-ჟერმენიდან“ მიუღია და უფიქრია, ბიჭს ახალი სტიმული ჭირდებაო. ამის გამო ერთ მატჩამდე კაცალასთვის ტანზე კვართი შემოუხევია, მერე კი ხელდახელ შებმია. ამგვარ მოპყრობას პოლონელი ისე გაუხელებია, რომ გადასარევად ურაგბია.

ფინალი სასწაული სანახავი იყო. ფრანგებმა ინგლისელებს ყველაფერში აჯობეს, რაც ბრიტანულმა პრესამაც აღიარა. საკვირაო გაზეთებმა შერცხვენილ ლესთერს „ქალალდის ლომები“ უწოდეს, ფრანგების თამაში კი პირველქმნილ, შეურყვნელ მშვენიერებად შერაცხეს. ზოგმა მეტად გაუტია: დაწერა, ასეთი რაგბი არასოდეს გვინახავსო; ყოველდღე რომ გვაყურებინონ, მაინც არ მოგვწყინდებაო და ა.შ.

ფრანგებმა თავიდანვე დაიბრიყვეს მეტოქე. ფრანსუა დიუბუასე დერეფანს იგებდა, კაცალა და დავიდ ვანდიტი კი, ერთი კვირის წინ ირლანდიას სამი ლელო რომ გაუტანა, დაქროდნენ. კრისტოფ ლამეზონმა საჯარიმო შეაგდო, სებასტიან ვიარმა კი 50-მეტრიანი სოლო განახორციელა, სამ მცველს გაუსხლტა და ლელო ალამთან გაიტანა 8:0.

ლესთერელები მერე ცოტა ათამაშდნენ. შინ მათ აქამდე პრაგმატული რაგბის მიმდევრებად იცნობდნენ, მაგრამ დვაიერმა ავანტურული სული ჩაბერათ. ეს შინაურ თამაშები იგრძნობა, თორემ ფრანგებს ბრიტებმა ისევ და ისევ შერკინებით აჯობეს და ქაჩალმა ლაილიმ სამი საჯარიმოთი წინაც გაიყვანა „ლომები“ 9:8.

ინგლისელებმა წინ ორიოდ წუთი გაძლეს. თამაშის განახლებისთანავე ალენ პენომ, ვისაც მერე კოჭის მყესები დაუწყდა და ხუთი ერის პირველობის ბოლომდე გავარდა, ვიარი ჩართო იერიშში, ამან კი ლელოსკენ გააქცუნა ჟერალდ ფავრი 13:9. ათიოდე წუთის შემდეგ ყველაფერი გაირკვა: გადასარევად გათამაშებული ბურთი სებასტიან კარამ ლელოში შეიტანა, მერე ლამეზონმა გაიტანა არეკნი, დასასრულ კი კარამ ერთხელაც ისახელა თავი, რითაც 10 ლელო დაუგროვდა და თასის გათამაშების უპირველესი მელელოვე შეიქნა.

## ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა
მელბურნი

# ციმციმ-ფინალები

თაობათა მელბურნული ჭახი ყაიმით დასრულდა: შაბათს სულ მთლად ნორჩმა მარტინა ჰინგისმა დაანგრია ჯერ კიდევ ყმაწვილ-ქალი, [illegible] მაინც 6 წლით უფროსი მარი პირსი, კვირას კი დალვინებულმა ჩეხ[illegible] ნა ჭაბუკი კარლოს მოია, დიდ ჩოგბურთში ახლაღა რომ ამბობს სათქმელს.



ასოშიეითიდ პრესი
მელბურნიდან

ვაჟ წყვილთა ფინალი (შაბათს): მარკ ვუდფორდი და თოდ ვუდბრიჯი (ორივე ავსტრალია) (1) — სებასტიან ლარო (კანადა) და ალექს ობრაიენი (აშშ) (7) **4:6, 7:5, 6:3, 6:3.** „ვუდებმა“ დიდი სლემის ტურნირებში მერვედ გაიმარჯვეს.


**„სარბიელში“**
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
**95 26 90**




ოლ სპორტი
მელბურნიდან

### ქალთა ფინალი

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 4) — მარი პირსი (საფრანგეთი) **6:2, 6:2** (59 წუთში)

ჰინგისი პირსს აქამდე სამჯერ შეხვედროდა და სამივეჯერ ორ ხელში წაეგო. შარშანწინ, კანადის პირველობაზე მარის 6:0, 6:0 დაემარცხებინა ნორჩი ტალანტი.

მას აქეთ ყველაფერი შეიცვალა. პირსი ტრავმების გამო კლასიფიკაციის მოწინავე ოცეულიდანაც გავარდა, ჰინგისი კი თუ ავსტრალიის ღია პირველობამდე მე-4 იყო, გუშინდლიდან უკვე მეორეა — ჩამორჩება მხოლოდ გერმანელ შტეფი გრაფს, ვისაც დღეიდან ტოკიოს ტურნირში გადაეყრება.

ჰინგისი ცქვიტია: კორტზე ლაღად მოძრაობს და მოსაგერიებლად უიმედო ბურთებსაც კი მისდევს. თავად ისე ვირტუოზულად ხმარობს ჩოგნის პირის სხვადასხვა უბანს, რომ ბურთს მეტოქისათვის გამოუცნობი მიმართულებით ურტყამს.

დამძიმებულ პირსსაც ასეთი დღე აყარა ფინალში და თავიდანვე 5:0 გაუსწრო, ძლევას კი საათზე ნაკლები ამყოფინა. მარტინამ შედეგიანი დარტყმებით 24-14 აჯობა მარის, უნებური შეცდომებით კი 8-19 ჩამორჩა. პირველი მოწოდების 76 პროცენტიც ქულის მოგებით დაასრულა. პირსს ანალოგიური მაჩვენებელი 38 პროცენტია.

ჰინგისი მელბურნში ლობე-ყორეს ედებოდა. გორგოლაჭებით სტადიონზეც ციგურაობდა, პარკშიცა და პლაჟზეც. აჭენა ფაშატი „მეჯიქ გერლიც“, რომელმაც ძირს გადმოაგდო. ამის პასუხად მარტინამ დაიქადნა, თუ ჩემპიონი გავხდი, ამ ცხენს შევიძენო.

მარტინამ ზვერევასთან ერთად წყვილთა ჩემპიონობაც მოიპოვა. ამისთვის 90 ათასი ერგო, პირსის ძლევისთვის კი 434 ათასი. გარდა ამისა, ზედ შეჯიბრების დაწყებამდე 10 მილიონად შეფასებული 5-წლიანი კონტრაქტი დაუდო სპორტული ტანსაცმლის კომპანია „სერჯო ტაკინის“.

თასი რომ აწია, მარტინამ საჯაროდ შეწირა მადლი დედამისს — ჩეხოსლოვაკიის ყოფილ ჩემპიონ მელანი მოლიტორს, რომელმაც ქალიშვილს ორი წლისას დააწყებინა თამაში, ხუთი წლისა შეჯიბრებებში ჩააბა, შვიდი წლისა კი სოციალისტურ სისტემას შვეიცარიაში განარიდა. მარტინას დაჯილდოებისას გვერდით ჰყავდა დედაც — ვერ მოითმინა და მოედანზე გადაუხტა.

ჰინგისი 1970 წლის 30 სექტემბერსაა დაბადებული სლოვაკეთის ქალაქ კოშიცეში. 12 წლისას საფრანგეთის, 13-ისას კი უიმბლდონის გოგონათა ტურნირებში გაუმარჯვნია. პროფესიულ სარბიელზე 1994 წლის შემოდგომაზე, ციურიხის ტურნირის დროს გამოჩნდა. 16 წლისა რომ მოიყარა, მოწინავე ათეულში შეაღწია, მონიკა სელეშს ოქლენდში უსიტყვოდ — 6:2, 6:0 ძლია, სეზონში მილიონ დოლარზე მეტი მოიხვეჭა, შაბათს კი დიდი სლემის ტურნირების უმრწემესი ჩემპიონი შეიქნა.

**167** სანტიმეტრი სიმაღლისა და 53-კილოიანი მარტინა საზოგადოებას სამადლობელში შეპირდა, რომ გაისად ვინმე ვაჟს მონახავს და „მიქსტსაც“ ითამაშებს.

### ვაჟთა ფინალი

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — კარლოს მოია (ესპანეთი) **6:2, 6:3, 6:3** (87 წუთში)

სამპრასი შეაწუხა არა სიცხემ ანაც მეტოქემ, რომელიც გუშინდლიდან უკვე მე-9 ჩოგანია, არამედ თავისივე ჩოგნის სიმებმა. პიტმა ერთობ იოლად მოიგო მე-9 სლემური ტიტული და პროფესიული (1968 წლის შემდგომი) ხანის გრანდებიდან ჩამოიტოვა ჯიმ კონორსი და ივან ლენდლი, თუმც კი ბიორნ ბორგს (11 ტიტული) ჯერაც ჩამორჩება.

### ქალ-ვაჟი

ნახევარფინალები (პარასკევს): ლარისა ნილანდი (ლატვია) და ჯონ დეიაგერი (სამხრეთი აფრიკა) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) და მარკ ნოულზი (ბაჰამაზი) **6:4, 6:3;** მანონ ბოლეგრაფი (ჰოლანდია) და რიკ ლიჩი (აშშ) (3) — ლორი მაკნილი და ბრაიან მაკფი (ორივე აშშ) **7:6 (10-8), 6:1**

ფინალი (კვირას): ბოლეგრაფი და ლიჩი — ნილანდი და დეიაგერი **6:3, 6:7 (5-7), 7:5.** დამარცხებულნი ბოლო ხელს 5:3 იგებდნენ, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი გეიმი წააგეს. ბოლეგრაფი და ლიჩი კბილანი — 32 წლისა არიან. ვიდრე მელბურნში შეწყვილდებოდნენ, სხვა პარტნიორებთან ორ-ორჯერ გაუმარჯვიათ დიდი სლემის „მიქსტთა“ ტურნირებში.

## ამერიკული ბურთაობა



წლევანდელი სუპერ-ბოულის გადამწყვეტი მომენტი:

III მეოთხედის მიწურულს გრინ-ბეელმა ჰოვარდმა (81) ბურთი თავის ლელოსთან აიტაცა და 99-იარდა გარბენით მატჩის ბოლო ლელო გაიტანა

ასოშიეითიდ პრესი
ნიუ-ორლეანსიდან

# ბოული შინ დაბრუნდა

საყოველთაო პროგნოზი გამართლდა — ამერიკული ბურთაობის წლიური შოუ — მორიგი, 31-ე სუპერ-ბოული კვლავ, ეს უკვე ზედიზედ მე-13-ედ, ეროვნული კონფერენციის რჩეულმა მოიგო. ერთი ეგ იყო, რომ თამაში ერთობ ამაღელვებელი და ცოტა ტრაგიკულიც გამოვიდა, რადგან სამი დღით ადრე რეპეტიციისას დაიღუპა ცირკის აკრობატი ქალი, 43 წლის ლორა პატერსონი, კვირის მატჩის დიდი შესვენების დროს ნიუ-ორლეანსის „ლუიზიანა სუპერ-დოუმის“ გუმბათიდან არენაზე თავქვე რომ უნდა გადაშვებულიყო.

თამაშს 72 301 მოსეირე დაესწრო. ბურთაობის ლიგის სტატისტიკოსები საგანგებოდ აღნუსხავენ გამოუყენებელ ბილეთთა რაოდენობას. ამჯერად სეირზე ყველა გაყიდული ბილეთის მფლობელი მისულა.

ვინს ლომბარდის თასი მესამედ, ოლონდაც 29-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ ერგო გრინ-ბეის — გუნდს, რომლის უგამოჩენილესი მწვრთნელიც თავად ლომბარდი ყოფილა. „მფუთავების“ ახლანდელმა მოძღვარმა მაიკ ჰოლმგრენმა ამაზე თქვა, ვინსმა დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვაო. აქვე შევნიშნოთ, რომ გრინ-ბეი მიჩიგანის ტბის პირას გაშენებული მცირე, 100-ათასიანი ქალაქია. მისი გუნდი ღია მოედანზე თამაშობს და დეკემბერში 20-გრადუსიანი ყინვის შემწეობითაც აშთობს მეტოქეებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაშის გმირი „მფუთავთა“ ქვორთერ-ბექი (ანუ გამთამაშებელი) ბრეთ ფავრი აღმოჩნდა. ეს კაცი ბოლო ორი სეზონია ბურთაობის ეროვნული ლიგის (NFL) უძვირფასესი მოთამაშე (MVP), თუმცა XXXI სუპერ-ბოულის MVP-ობა მის თანაგუნდელს — ვაიდ-რისივერს (ანუ გარემარბ) დეზმონდ ჰოვარდს ერგო, რომელმაც გადამწყვეტი რეიდი განახორციელა.

| | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **გრინ-ბეი** | 10 | 17 | 8 | 0 | 35 |
| **ნიუ-ინგლენდი** | 14 | 0 | 7 | 0 | 21 |

თავიდან გრინ-ბეი 10:0 იგებდა. მე-4 წუთზე ფავრმა 54-იარდიანი სალელოე პასი გაუხერხა რიზონს, მე-7 წუთზე კი ჯექმა 37 იარდიდან შეაგდო ფილდ-გოლი (არეკნი; 3 ქულა). მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლომდე ნიუ-ინგლენდმა ორი ლელო (თაჩ-დაუნი) გაიტანა და 14:10 დაწინაურდა: მე-9 და მე-13 წუთებზე „პატრიოტთა“ ქვორთერბექმა დრუ ბლედსოუმ ზედ ლელოსთან მოკლე გადაცემები გააკეთა. შევნიშნოთ, რომ ლელო ამერიკულად 6 ქულა ღირს, მისი არეკნით გარდასახვა კი 1 ქულა.

მეორე მეოთხედის პირველსავე წუთზე ფავრმა (**ფოტოზე**) სუპერ-ბოულების უგრძესი სალელოე პასი გააზერხა — 81 იარდით წინ მყოფ ფრიმენს ზუსტად მიაწოდა ბურთი 17:14. მერე იყო ჯექის 31-იარდიანი ფილდ-გოლი და თავად ფავრის ლელო (მე-14 წუთზე), ორი მეტრიდან რომ გაიტანა 27:14.

ნიუ-ინგლენდი მეტოქეს არ დანებებია. მესამე მეოთხედის მე-12 წუთზე „პატრიოტთა“ სამ-წუთ-ნახევრიანი მიძალება, 7 იერიში რომ მოიცვა და რომლის ჯამური წინსვლაც 53 იარდი გამოვიდა, მარტინმა 18-იარდა რეიდით დაასრულა 27:21.

ბურთაობაში თამაშს ქულების მომხვეჭი გუნდი აახლებს, ოღონდ არა ცენტრიდან, არამედ საკუთარი 35-იარდა ხაზიდან. ამას „ქიქ-ოფი“ ჰქვია. ჰოდა, ნიუ-ინგლენდმა ბურთი „მფუთავთა“ ლელოსკენ რომ დაარტყა, იქ იგი დაითრია ჰოვარდმა, თანაგუნდელები მას მარჯვედ დაუდგნენ წინ, მეტოქე თავისიანთან არ მიუშვეს, ამან კი გარღვევა მოახერხა და 99-იარდა რეიდი ლელოთი დაასრულა. აქვე შევნიშნოთ, რომ ლელოთა შორის 100 იარდია!

„მფუთავებმა“ ლელო ლელოთივე გარდასახეს (2 ქულა) 35:21. ბოლო მეოთხედში ანგარიში აღარ შეცვლილა. ნიუ-ინგლენდის მწვრთნელი ბილ პარსელსი პირში ჩალა გამოვლებული დარჩა: ამან ეროვნული კონფერენციის წევრ ნიუ-იორკის „გოლიათებს“ 1986 და 1990 წლებში მოაგებინა სუპერ-ბოული და თუ მისი ამჟამინდელი გუნდიც გაიმარჯვებდა,



პარსელსი შეიქნებოდა პირველი მწვრთნელი, ვისაც ორ გუნდთან ერთად ექნებოდა მოგებული სუპერ-ბოული.

ახლა „პრო-ბოულის“ ჯერია. იგი კვირას, ჰავაის კუნძულებზე, ჰონოლულუში გაიმართება. ეს მატჩი კალათბურთისა და ჰოკეის „ოლ-სტარების“ ანალოგია: ეროვნული კონფერენციის ვარსკვლავთა ნაკრები ამერიკული კონფერენციის ნაკრებს ეთამაშება.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მზეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29